# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 14 თებერვალი 2006 №32 (2654) ფასი 50 თეთრი


# ჩვენ ამას არ ვჭამთ, მუსიე

პარიზული მეტაფორა

## სალა, ნიორი, ზედაც პერცოვკა და უკრაინულად დაკრულზე ცეკვა ფრანგულ სუფრაზე რა მოსატანია



## კალ END არი გარდაიცვალა

### კლაუს ტოპმიოლერი კი მაინც ოპტიმისტია

ყველაფერი ნულიდან იწყება. გუშინ უკრაინამ ერთხელაც უკრა ნიხლი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ექვს თანაჯგუფელს და კალენდრის შედგენა უეფას მიანდო. პარიზულ შეხვედრას ექვსი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებთა მთავარი მწვრთნელები დაესწრნენ, ოლეგ ბლოხინმა კი მარჩელო ლიპისთან, რაიმონ დომენექთან, კლაუს ტოპმიოლერთან, მარტინ ოლსენთან, ალგიმანტას ლიუბინსკასთან და უოლტერ სმიტთან ერთად კალენდარზე ფიქრს ისრაელში კიევის „დინამოსა“ და მოსკოვის ცესკას ამხანაგური მატჩის ცქერა ამჯობინა. მის ნაცვლად საფრანგეთში მისი თანაშემწის ოლეგ კუზნეცოვის ჩასვლა პირველი ნიშანი იყო იმისა, რომ უკრაინელები ამ შეხვედრისგან დიდს არაფერს გამოელოდნენ. ან ეგებ ცრურწმენის გამოც აირჩიეს ამგვარი ტაქტიკა — წინა შესარჩევ ციკლში უეფას მიერ შედგენილი კალენდარი მათი წარმატების წინაპირობა გახდა.

მოლაპარაკებათა პირველ რაუნდში უკრაინელებმა კატეგორიულად მოითხოვეს, იტალია ან საფრანგეთი წლეულსვე უნდა ვისტუმროთ კიევშიო. ფრანგებმა 2006 წლის ოქტომბერში კიევში ჩასვლაზე დასტური თქვეს და კალენდრის პროექტის მიხედვითაც, ბლოხინის გუნდს 2007 წლის შემოდგომით, ბოლოსწინა ტურში უწევდა საპასუხო ვიზიტი საფრანგეთში. გუშინ, როცა ყველა უკრაინელთა დასტურს ელოდა, უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ალექსანდრ ბანდურკომ და ოლეგ კუზნეცოვმა ისევ ვაჭრობა წამოიწყეს — შეგვეშალა, წლეულს საფრანგეთში ჩვენ თვითონ ჩამოვალთ, ბოლოსწინა ტურში კი კიევში დაგელოდებითო. როგორც ჩანს, უკრაინელთა უტაქტობამ თუ კარგად გათვლილმა დესტრუქციულმა ჩანაფიქრმა ფრანგების თავმოყვარეობა გვარიანად შელახა, ბლოხინის დაკვეთილ მუსიკაზე ცეკვა არ ისურვეს და მოლაპარაკებებს წერტილი დაესვა.

რაღა რჩება? როგორც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უჩა უგულავამ გვითხრა, თეორიული შანსია, უკრაინამ უკან დაიხიოს და დღეს დილით დასტური ფაქსით აფრინოს პარიზში. მხოლოდ თეორიული, თუმცა...

გუშინვე გერმანიაში კლაუს ტოპმიოლერს დავუკავშირდით, რომლის კომენტარიც ერთობ ოპტიმისტური გვეჩვენა:

— მაინც იმედი მაქვს, რომ ყველაფერი კარგად დასრულდება. თავდაპირველად კალენდრის ამ ვარიანტზე მუშაობისას ოთხნი სამის წინააღმდეგ ვიყავით — უკრაინის გარდა, შოტლანდია და ლიტვაც არ ეთანხმებოდნენ პროექტს. შოტლანდიელებთან და ლიტველებთან საერთო ენის გამონახვა შევძელით. ახლა ჯერი უკრაინაზეა. ძალიან მინდა, მათი დათანხმებაც მოვახერხოთ...

გიორგი ნოზაძე


ძვირფასო აბონენტებო!

2006 წლის 9 თებერვლის 18:00 საათიდან

მაგთიკომი MAGTICOM

მაგთიკომის აბონენტთა ნებისმიერი ადგილობრივი ზარი ადირიცხება 1 წამის სიზუსტით. არავითარი დაერგვალება!

ილაპარაკეთ მეტი მაგთიკომთან ერთად!


## ხვალინდელ სარბიელში



თქვენი ინტერვიუ ეროვნული ნაკრების მწვრთნელ კლაუს ტოპმიოლერთან

# ჩერნიშოვის გონების სამზარეულო
## ბრაზილიელებიც გვინდა და სხვებიც



თბილისის „დინამომ" გუშინ კვიპროსზე ორკვირიანი შეკრება დაასრულა და დღეს შინ ბრუნდება. თბილისელებმა ანდრეი ჩერნიშოვის ხელში ხუთი ამხანაგური მატჩი გამართეს. ბოლო კვიპროსული შეხვედრა მათ გუშინ კურსკის „ავანგარდთან" ჰქონდათ და 1:2 წააგეს. გოლი ჯაბა დვალმა გაიტანა.

„დინამომ" „ავანგარდთან" შეხვედრაც თითქმის ორი შემადგენლობით ჩაატარა, შეუცვლელად მხოლოდ მეკარე სოსო გრიშიკაშვილმა, მცველმა სერგო ორბელაძემ და ნახევარმცველმა კახა მახარაძემ ითამაშეს. ისე კი, ანდრეი ჩერნიშოვს ძირითადი შემადგენლობა, ფაქტობრივად, უკვე ჩამოუყალიბებია, რაც გუშინ თავადვე გვითხრა და ისიც დაამატა, თუ ხელფასზე მოვრიგდებით, ბრაზილიელები, ვიეირა და ამბროზიო „დინამოში" დარჩებიანო...

— კვიპროსზე რაც დაგეგმილი გვქონდა, მაქსიმალურად შევასრულეთ, საკმაოდ ნაყოფიერი შეკრება გამოგვივიდა და კმაყოფილი ვარ. ოთხი ამხანაგური მატჩი უნდა ჩაგვეტარებინა, მაგრამ მეხუთე თამაშიც დაგვჭირდა და არც ეს ყოფილა პრობლემა. კვიპროსზე თავსხმა წვიმაში და ძლიერ ქარშიც მოგვიწია ვარჯიშმა და სასიამოვნოა, რომ ბიჭებმა ყველანაირ დატვირთვას გაუძლეს.

— ხვალ რომ ჩემპიონატი იწყებოდეს, შეგიძლიათ თქვათ, „დინამო" უკვე სრულყოფილად მომზადებულიაო...

— კვიპროსზე „დინამომ" ყველა მატჩი ორი შემადგენლობით ჩაატარა. ფეხბურთელებმა თითო-თითო ტაიმი ითამაშეს და პრაქტიკა ჯერ კიდევ აკლიათ. ოპტიმალური ფორმისთვის ორი-სამი მატჩი კიდევაა საჭირო.

— მეორე წრის დაწყებამდე ამხანაგური მატჩები კიდევ გაქვთ დაგეგმილი?

— არა, პირველივე მატჩი თასზე „ზესტაფონთან" გვექნება.

— ძირითადი შემადგენლობა უკვე ჩამოყალიბებულია?

— დიახ, გონებაში უკვე მაქვს ძირითადი შემადგენლობის ვარიანტი, რომელშიც შეიძლება ერთიორი ფეხბურთელის შეცვლა დამჭირდეს. ისე კი, რამდენიმე პოზიციაზე ფეხბურთელების დამატება გვჭირდება.

— **რომელ პოზიციებზე?**

— ეს საკლუბო სამზარეულოა და ვერ გეტყვით. 15 თებერვალს „დინამოს" ხელმძღვანელებს უნდა შევხვდეთ და დანარჩენი მერე გაირკვევა.

— **ანუ ჩემპიონატის განახლებამდე ახალ ფეხბურთელებს დაიმატებთ?**

— კლუბის ხელმძღვანელებთან ახალ ფეხბურთელებზე აუცილებლად ვილაპარაკებთ. როგორც გითხარით, „დინამოს" რამდენიმე პოზიციაზე გაძლიერება სჭირდება.

— **ბრაზილიელების, ვიეირასა და ამბროზიოს საქმე როგორაა, თბილისში ისინიც მოგყავთ?**

— დიახ, ისინი თბილისში წამოვლენ, ხოლო დარჩებიან თუ არა ჩვენთან, ეს უკვე ფინანსებზეა დამოკიდებული. ვიეირა და ამბროზიო კარგი ბიჭებიც არიან და კარგი ფეხბურთელებიც. დანარჩენი კლუბის ხელმძღვანელობის საქმეა.

— **„დინამოზე" გარკვეული წარმოდგენა მწვრთნელად დანიშვნის დროსაც გქონდათ. ახლა რას იტყვით, „დინამოსგან" ის მიიღეთ, რასაც ფიქრობდით?**

— დიახ, კმაყოფილი ვარ. ფეხბურთელებმა ჩემი მოთხოვნები კარგად შეასრულეს და, რაც მთავარია, ფიზიკური დატვირთვებიც აიტანეს. გუნდს განსაკუთრებით დიდი დატვირთვა შეკრების პირველ კვირაში ჰქონდა და კარგია, რომ ბიჭებმა ყველაფერს გაუძლეს.

**ქობა ინასარიძე**

„დინამომ" „ავანგარდთან" პირველ ტაიმში ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *გრიშიკაშვილი, უ. ლობჟანიძე, გიგაური, ორბელაძე, ნავალოვსკი, მახარაძე, ლ. ნოზაძე, ვიეირა, ამბროზიო, მელქაძე, დვალი.*

შესვენების შემდეგ: *გრიშიკაშვილი, გ. კაშია, ქემოკლიძე, ორბელაძე, აკობია, ჩირიკაშვილი, ა. კალაძე, მახარაძე, გ. მერებაშვილი, კვიტაიშვილი, დვალი (იაშვილი 80).*



# საზარდული ურდული არ არის
## იაშვილმა მაინც უნდა ითამაშოს

**თბილისის** „დინამოს" ერთ-ერთი წამყვანი და სატრანსფეროდ საინტერესო ფეხბურთელი სანდრო იაშვილი მეჩვიდმეტე ეროვნული ჩემპიონატის მე-11 ტურში ისე დაშავდა, საოპერაციო შეიქნა — იაშვილმა ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში გაიკეთა მარჯვენა საზარდულის ოპერაცია და „დინამოს" მოსკოვში „თანამეგობრობის თასზე" სათამაშოდ ვერ გაჰყვა.

კვიპროსულ შეკრებაზე კი „დინამო" იანვრის ბოლოს წავიდა და თან 21 წლის იაშვილიც იახლა, თუმცა სანდრო მანამდე ოდენ ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობდა.

„დინამომ" იანვარში მთავარი მწვრთნელიც გამოიცვალა, კახა ცხადაძის ნაცვლად ანდრეი ჩერნიშოვს უხმო და, ცხადია, ყველანაირად ეცდება, მწვრთნელის შეცვლის სისწორე ჩემპიონობით და თასის მოპოვებით დაამტკიცოს, რისთვისაც იაშვილი ძალიან საჭირო ფეხბურთელი უნდა იყოს გუნდისთვის.

„ნაოპერაციევი საზარდული კვლავ მტკივა, მაგრამ ძლიერად არა, საზარდული დატვირთვებისას შემახსენებს ხოლმე თავს. მგონი, ტკივილმა მალე უნდა გამიაროს" — გვითხრა გუშინ იაშვილმა, ვინც „დინამოსთან" ერთად დღეს უკვე თბილისში იქნება.

იაშვილს ტრავმით გამოწვეული პაუზის გამო ზედმეტი წონა აწუხებს. ჭარბი კილოგრამები კი ახლა ნაოპერაციევ, მტკივან საზარდულს აწვება, თუმცა მას გუნდთან ერთად ავარჯიშებენ და კვიპროსზე საკონტროლო შეხვედრაშიც ათამაშეს.

„გუნდის ექიმმა მითხრა, ოპერაციის შემდეგ პატარა ტკივილი ჩვეულებრივი ამბავია და მალე ყველაფერი მოწესრიგდებაო. ზედმეტ წონასაც ნელ-ნელა ვიშორებ და ვეცდები, ფორმა მალე აღვიდგინო" — განგვიმარტა იაშვილმა.

სანდრომ ისიც გვითხრა, რომ ჩერნიშოვის „დინამო" ერთი გამოკვეთილი ფორვარდით თამაშობს, რომელსაც ფლანგებიდან ორი შემტევი ეხმარება, ცენტრფორვარდი კი ხან ლევან მელქაძეა, ხან გიორგი მერებაშვილი.

ცხადაძის მწვრთნელობისას მერებაშვილი საყრდენი ნახევარმცველი იყო და ჩერნიშოვის ამ ექსპერიმენტის ნახვაც ძალიან საინტერესოა. ცენტრფორვარდია იაშვილიც და ამ პოზიციაზე „დინამოში" მძაფრი კონკურენცია უნდა გაჩაღდეს.

იაშვილისვე თქმით, ჩერნიშოვის ვარჯიშების სტილი ცხადაძის სტილისგან დიდად არ განსხვავდება, მაგრამ თუ როგორი იქნება „დინამო", ეს ალბათ ჯერ არავინ იცის — პირველი სერიოზული გამოცდა ჩერნიშოვის „დინამოს" 18 თებერვალს ელის საქართველოს თასის მეოთხედფინალის პირველ შეხვედრაში „ზესტაფონთან".

**დავით თავართქილაძე**

# ზესტაფონი — დინამო
## ზესტაფონში საეჭვოა
### ფეროელებმა კუნძული დატოვეს

**„ზესტაფონი"** დღეს ბარგს ჩაალაგებს და კვიპროსიდან საქართველოში გამოფრინდება. მანამდე კი ფეროელებმა ბოლო კუნძულური საკონტროლო მატჩი კორეულ „სეულთან" ითამაშეს. აზიელებმა დებიუტშივე გაიტანეს, ხოლო ზესტაფონელთა მთავარმეგოლე ზურაბ იონანიძემ 25-ე წუთზე გაათანაბრა.

თემურ მახარაძემ „სეულთან" ასეთი შემადგენლობა ათამაშა: *ჭანტურია, ძამსაშვილი, ს. თოდუა, პანოვი, კ. ჩხეტიანი, ბ. ნოზაძე, ნუდნი, თურმანიძე (გიორგიძე), ფიფია, იმედაძე, იონანიძე.*



ზურაბ იონანიძე

ეს კარგი, მაგრამ, როგორც „ზესტაფონის" პრეს-ატაშე სერგო ფუტკარაძემ გვითხრა, 18 თებერვლის სათასო მეოთხედფინალი თბილისის „დინამოსთან", შესაძლოა, ზესტაფონის ცენტრალურ სტადიონზე არ გაიმართოს — სტადიონზე თურმე ბარაქიანი თოვლი დევს, თან მოყინულია და თოვლის აღება რომც დაიწყონ, გამორიცხული არაა, მინდორი გაფუჭდეს.

სად გაიმართება „ზესტაფონი" — „დინამო", საბოლოოდ 15 თებერვალს გაირკვევა.

**ილია ნანობაშვილი**

## ინგლისი
**პრემიერლიგა. XXVI ტური**

ვესტ ჰემი 3:0 ბირმინგემი

## გერმანია
**II ბუნდესლიგა. XXI ტური**

ჰანზა 0:2 ბოხუმი

## იტალია
**სერია B. XXIX ტური**

ჩეზენა 2:1 კრემონეზე

აველინო 1:1 კატანია

## საბერძნეთი
**ეროვნული ლიგა. XIX ტური**

აკრატიტოსი 0:1 ოლიმპიაკოსი

## ჰოლანდია
**მეორე დივიზიონი. გადადებული მატჩები**

აპელდორნი 1:1 ვეენდამი

ემენი 1:1 ჰელმონდი

დენ ბოსხი 1:0 ვოლენდამი

ეინდჰოვენი 1:3 დორდრეხტი

მაასტრიხტი 0:0 ექსელსიორი

ვენლო 1:0 ზვოლე

## პორტუგალია
**სუპერლიგა. XXII ტური**

მარიტიმუ — გიმარაეში

*გვიან დამთავრდა*

# ტორპედომ უცნობ განტოლებას მოუგო

**ქუთაისის** „ტორპედო" სამეორეწრეოდ კვლავ თბილისში ემზადება, გუნდს არც თურქმენეთის ტურნირზე წასვლა გამოუვიდა, არც თურქული თუ ისრაელური შეკრება და არც ყურადღებამისაქცევი ტრანსფერები.

გუშინ ქუთათურებმა ტესტ-მატჩში „სოხუმს" 4:0 მოუგეს, გოლები კი ძოძუაშვილმა, მდივნიშვილმა, გორგოძემ და ხეცურიანმა გაიტანეს. რევაზ ბურკაძეს რამდენიმე გასასინჯი ფეხბურთელი ჰყავს და მათგან რამდენიმეს ალბათ დაიტოვებს, ხოლო „სოხუმი" საშინელ დღეშია...

სოხუმელთა თავკაცმა გოჩა ჟორჟოლიანმა გვითხრა, ფინანსურად ძალიან გვიჭირს და მოთამაშეები ვერ შევინარჩუნეთო. ჟორჟოლიანს განსაკუთრებით ლიდერებზე წყდება გული — შოთა ჩომახიძე საჩხერის „ჩიხურაში" წავიდა, მამუკა რუსია „მესხეთში", მამუკა წერეთლის ამბავიც გაურკვეველია. მწვრთნელმა გვითხრა, „ტორპედოსთან" ბავშვები ვათამაშეთ, მათი გვარებიც არ ვიციო.

**ილია ნანობაშვილი**

# საქართველოს 17 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

# კალენდარი

## ეროვნულის ეროვნულის სამსახურში

### თასის ფინალი 13 მაისს იქნება



ბადრი ქეთილაძის ფოტო

**როგორც** იქნა, მეჩვიდმეტე ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის კალენდარი გამოცხადდა. თვალის ერთი გადავლებით ძნელია მისი სრულფასოვნად გაანალიზება, თუმცა ქართული საკლუბო ფეხბურთის ელიტას მეტისმეტად მჭიდრო გრაფიკში რომ მოუწევს ბურთაობა, ფაქტია.

კალენდარის თაობაზე კომენტარი პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტ *დიმიტრი რამიშვილს* ვთხოვეთ...

— კალენდარის ამ სახით ჩამოყალიბება მიმდინარე სეზონის გარკვეულმა თავისებურებებმა გამოიწვია! პირველ რიგში, მასში მაქსიმალურად არის გათვალისწინებული ეროვნული ნაკრების ინტერესები. მაისის ბოლოს პარაგვაის ნაკრებთან ამხანაგური შეხვედრაა დაგეგმილი და ჩვენი ეროვნული გუნდი შეკრებაზე 24 მაისიდან გადავა. 26 მაისს კი „დია 2006“-ის დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართება.

...უპირველესი საზრუნავი, რა თქმა უნდა, ეროვნული ნაკრებია, მაგრამ ნურც ის დაგვავიწყდება, რომ 14 მაისს ჭაბუკთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ელიტრაუნდში სათამაშოდ მიემგზავრება. აქედან გამომდინარე გადაწყდა ჩემპიონატის ჩვეულებრივზე ადრე დამთავრება, საქართველოს თასის ფინალი კი 13 მაისს გაიმართება. შემთხვევით არც ეს თარიღი აგვირჩევია — წლეულს თბილისის „დინამოს“ მიერ თასების მფლობელთა თასის მოპოვებიდან 25 წელი სრულდება და გვინდა, ახალგაზრდა თაობამ უკეთ გაითავისოს ჩვენი საფეხბურთო წარსული.

...ერთ-ერთი მიზეზი, რამაც სათამაშო დღეების შემჭიდროება გამოიწვია, მოედნების საფარის შეცვლაცაა. საამისოდ ყველაზე ხელსაყრელი პერიოდი სწორედ მაისია. არ არის გამორიცხული, „ეროვნულის“ და „მიხეილ მესხის“ გარდა, სხვა სტადიონებზეც შეიცვალოს საფარი.

...თითქმის ყველა ტური თითო დღეზე გაიწელა. ეს განსაკუთრებით სააპრილო ტურებზე ითქმის, როცა ოთხ, ზოგჯერ კი სამ დღეში ერთხელ მოუწევთ გუნდებს თამაში. თასის მონაწილეებს კიდევ უფრო მეტი დატვირთვა ექნებათ. კალენდარი შევათანხმეთ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტთან და ვიცე-პრეზიდენტებთან, აგრეთვე პროფესიული ფეხბურთის ლიგის გამგეობასთან. ისინი გაგებით მოეკიდნენ ყველა ცვლილებას.

**გიორგი ნოზაძე**

## მეორე წრე

**XVI ტური**

22 თებერვალი, ოთხშაბათი
ბორჯომი – ბათუმი
ვიტ ჯორჯია – კოლხეთი
დინამო – კახეთი
ზესტაფონი – თბილისი
ამერი – ტორპედო
სიონი – ლოკომოტივი
23 თებერვალი, ხუთშაბათი
სპარტაკი – დილა
ცხინვალი – სოხუმი

**XVII ტური**

4 მარტი, შაბათი
კახეთი – ცხინვალი
სოხუმი – ვიტ ჯორჯია
კოლხეთი – ბორჯომი
ბათუმი – სპარტაკი
დილა – სიონი
ლოკომოტივი – ტორპედო
თბილისი – დინამო
ზესტაფონი – ამერი

**XVIII ტური**

11 მარტი, შაბათი
ბორჯომი – სოხუმი
ამერი – ლოკომოტივი
ტორპედო – დილა
სიონი – ბათუმი
სპარტაკი – კოლხეთი
ვიტ ჯორჯია – კახეთი
დინამო – ზესტაფონი
ცხინვალი – თბილისი

**XIX ტური**

15 მარტი, ოთხშაბათი
სოხუმი – სპარტაკი
ზესტაფონი – ცხინვალი
დინამო – ამერი
თბილისი – ვიტ ჯორჯია
კახეთი – ბორჯომი
კოლხეთი – სიონი
ბათუმი – ტორპედო
დილა – ლოკომოტივი

**XX ტური**

25 მარტი, შაბათი
სიონი – სოხუმი
ამერი – დილა
ლოკომოტივი – ბათუმი
ტორპედო – კოლხეთი
სპარტაკი – კახეთი
ვიტ ჯორჯია – ზესტაფონი
ცხინვალი – დინამო
ბორჯომი – თბილისი

**XXI ტური**

29 მარტი, ოთხშაბათი
თბილისი – სპარტაკი
ცხინვალი – ამერი
ზესტაფონი – ბორჯომი
კახეთი – სიონი
სოხუმი – ტორპედო
ბათუმი – დილა
დინამო – ვიტ ჯორჯია
კოლხეთი – ლოკომოტივი

**XXII ტური**

1 აპრილი, შაბათი
ბორჯომი – დინამო
ამერი – ბათუმი
დილა – კოლხეთი
სოხუმი – ლოკომოტივი
ტორპედო – კახეთი
სპარტაკი – ზესტაფონი
ვიტ ჯორჯია – ცხინვალი
სიონი – თბილისი

**XXIII ტური**

5 აპრილი, ოთხშაბათი
ვიტ ჯორჯია – ამერი
ცხინვალი – ბორჯომი
ზესტაფონი – სიონი
თბილისი – ტორპედო
სოხუმი – დილა
კოლხეთი – ბათუმი
დინამო – სპარტაკი
კახეთი – ლოკომოტივი

**XXIV ტური**

12 აპრილი, ოთხშაბათი
ბათუმი – სოხუმი
ამერი – კოლხეთი
დილა – კახეთი
ლოკომოტივი – თბილისი
ტორპედო – ზესტაფონი
სპარტაკი – ცხინვალი
სიონი – დინამო
ბორჯომი – ვიტ ჯორჯია

**XXV ტური**

15 აპრილი, შაბათი
ბორჯომი – ამერი
თბილისი – დილა
კახეთი – ბათუმი
სოხუმი – კოლხეთი
ვიტ ჯორჯია – სპარტაკი
დინამო – ტორპედო
ცხინვალი – სიონი
ზესტაფონი – ლოკომოტივი

**XXVI ტური**

19 აპრილი, ოთხშაბათი
ამერი – სოხუმი
კოლხეთი – კახეთი
დილა – ზესტაფონი
ლოკომოტივი – დინამო
ტორპედო – ცხინვალი
სიონი – ვიტ ჯორჯია
სპარტაკი – ბორჯომი
ბათუმი – თბილისი

**XXVII ტური**

22 აპრილი, შაბათი
სპარტაკი – ამერი
ბორჯომი – სიონი
ვიტ ჯორჯია – ტორპედო
ზესტაფონი – ბათუმი
თბილისი – კოლხეთი
დინამო – დილა
ცხინვალი – ლოკომოტივი
კახეთი – სოხუმი

**XXVIII ტური**

29 აპრილი, შაბათი
ამერი – კახეთი
სოხუმი – თბილისი
კოლხეთი – ზესტაფონი
ბათუმი – დინამო
დილა – ცხინვალი
ლოკომოტივი – ვიტ ჯორჯია
ტორპედო – ბორჯომი
სიონი – სპარტაკი

**XXIX ტური**

6 მაისი, შაბათი
სიონი – ამერი
სპარტაკი – ტორპედო
ბორჯომი – ლოკომოტივი
ვიტ ჯორჯია – დილა
ცხინვალი – ბათუმი
დინამო – კოლხეთი
თბილისი – კახეთი
ზესტაფონი – სოხუმი

**XXX ტური**

9 მაისი, სამშაბათი
ამერი – თბილისი
კოლხეთი – ცხინვალი
ბათუმი – ვიტ ჯორჯია
დილა – ბორჯომი
ტორპედო – სიონი
კახეთი – ზესტაფონი
სოხუმი – დინამო
ლოკომოტივი – სპარტაკი



ბადრი ქეთილაძის ფოტო

ამერელმა გიორგი კვახაძემ ამ ეპიზოდში ვერ ივარგა, მაგრამ რუსთაველებს გოლი მანამდე გაუტანა

## გერმანული თვალები ავჭალურ სინათლეზე

### ამერის რუსთაველი ტესტი

**გუშინ** ავჭალაში, „სინათლეზე“, ანთალიიდან დაბრუნებული „ამერი“ პირველლიგელ „რუსთავს“ შეხვდა და 2:0 მოუგო.

გუნდებს დიდი ბრძოლა არ გაუმართავთ და სახიფათო მომენტიც თითო-ოროლა შეიქმნა.

25-ე წუთამდე ორივე მეკარე უქმად იყო. ანგარიში კი „რუსთავის“ კართან შექმნილ პირველსავე მომენტს მოჰყვა — გიორგი დეკანოსიძემ კუთხური ჩააწოდა, რუსთაველებმა ბურთის საჯარიმოდან გატანა ვერ მოახერხეს და ფორვარდთა დასახმარებლად ჩასულმა მცველმა გიორგი კვახაძემ მოხდენილი დარტყმით გაიტანა.

მეორე გოლიც კარგი სანახავი იყო: 48-ე წუთზე ალექსანდრე კაიდარაშვილმა დავით ბოლქვაძისგან პასი მიიღო და შორიდან გაისროლა — ბურთი მეკარეს თავზე გადაევლო და ბადეში აღმოჩნდა.

ამის მერე „ამერს“ ერთი ისეთი მომენტიც ჰქონდა, უკეთეს რომ ვერ ინატრებდა: კვახაძე და დავით სევასტოპულო მეკარე კობახიძესთან პირისპირ დარჩნენ, მაგრამ კვახაძეს არც დარტყმა გამოუვიდა, არც პასი და ბურთი კუთხურზე გავიდა.

საპირისპირო მხარეს ამერელთა მეკარე ლადო ნადირაშვილს ერთხელ მოუხდა დასწრებაზე თავდამსხმელისთვის ბურთის ართმევა და სულ ეგ იყო.

კიდევ: შესვენებისას სტადიონზე რალფ მინგე, ჰაინც ტოპმიოლერი და კობა ჟორჟიკაშვილი მოვიდნენ და მეორე ტაიმს უყურეს.

დღეს „ნორჩი დინამოელის“ სკოლის სტადიონზე „ამერი“ მეორე შემადგენლობით „გაგრას“ შეხვდება.

გუშინდელი მატჩი კი გუნდებმა ასეთი შემადგენლობებით ჩაატარეს:

**ამერი:** *ნადირაშვილი, კედელაშვილი, გ. კვახაძე, ხვადაგიანი, ჩიკვილაძე, დოლიძე, ბოლქვაძე, დეკანოსიძე, კოშკაძე, ა. კაიდარაშვილი, ს. დავითაშვილი.* შეცვლაზე შევიდნენ: *გარუჩავა, ბერიანიძე, სილაგავა, დობროვოლსკი, ტატანაშვილი, ნიკოლაიშვილი, სევასტოპულო, ლუჯაშვილი.*

**რუსთავი:** *ივარდავა, ზ. ლაბაძე, სილაგაძე, ცქვიტაია, შუბითიძე, ნეფარიძე, ნ. ლაბაძე, ილურიძე, გუნცაძე, კაპანაძე, ა. ჯელაძე.* შეცვლაზე შევიდნენ: *კობახიძე, კორსანტია, მიქაძე, კალანდაძე, ლამბაშიძე.*

**კოტე კეკელია**

## სიონის უცხო მადა

**უახლოეს** დღეებში ბოლნისის „სიონს“ ერთბაშად ხუთი უცხოელი ფეხბურთელი ჩამოაკითხავს, თუმცა დარჩებიან თუ არა ისინი საქართველოში, მოგვიანებით გაირკვევა. გუშინდელი ამბავია: „სიონს“ სამი კამერუნელი და ორიც უკრაინელი ფეხბურთელი ამ კვირაში გასასინჯად შეუერთდება და ეროვნული ჩემპიონატის განახლებამდე ამ კლუბში ივარჯიშებენ. ჩვენი ფეხბურთის დონეს ეს უცხოელები თუ დააკმაყოფილებენ, ბოლნისელები მათ კონტრაქტებსაც გაუფორმებენ.

შეგახსენებთ, რომ სადღეისოდ „სიონს“ ერთი უკრაინელი უკვე ჰყავს — ევგენი ლაშჩუკი.

**ლუკა თალაკვაძე**

## არგენტინულად დაგაზული ბორჯომი

**მარცხენა** ნახევარსფეროდან „ბორჯომში“ ჩამოსული ფეხბურთელები საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ითამაშებენ — ბორჯომელებმა ტესტების შემდეგ ორი არგენტინელი ფეხბურთელის, ნახევარმცველ დარიო სებალეს და თავდამსხმელ გონსალო დე პორასის შემატება გადაწყვიტეს.

ეს არგენტინელები 8 თებერვალს მივიდნენ „ბორჯომში“, ივარჯიშეს, ერთ საკონტროლო მატჩშიც ითამაშეს და გუნდის ხელმძღვანელობას თავი მოაწონეს.

„ბორჯომის“ მოთამაშე-მწვრთნელმა იური გაბისკირიამ გვითხრა, რომ კლუბი და არგენტინელი ფეხბურთელები უკვე ყველაფერზე მორიგდნენ და ახლა „ბორჯომი“ არგენტინიდან ელის ამ ფეხბურთელების სატრანსფერო ფურცლებს.

**დავით თავართქილაძე**



# აქიმობას თუ გამიწევ...

*ჰოლანდიის ჩემპიონატის 24-ე ტურში „ტვენტემ“ „როდას“ პრინციპული თამაში მოუგო და გასავარდნთა ზონას საბოლოოდ დაშორდა. ეს კარგი, მაგრამ ენსხედელთა ლიდერ გოგა გახოკიძეს არ უთამაშია და, ბუნებრივია, მიზეზმა დაგვაინტერესა. სამწუხაროდ, „ტვენტეს“ ქართველ მარცხენაფლანგელს ტრავმა ჰქონია. გოგას სანაკრებო ამბებზეც ვკითხეთ — თებერვლის ბოლოს ხომ მალტის ოთხთა საერთაშორისო ტურნირი იწყება, მაგრამ...*

## ტოპმიოლერმა გახოკიძე ლევერკუზენში გაუშვა

— ჯერ არ ვიცი, ტრავმა რამდენ ტურს გამომატოვებინებს. ცალკე წელის და ცალკე ფეხის ტკივილმა დამტანჯა, ქრონიკულად მექცა. გერმანიაში დავდივარ ექიმებთან, თორემ აქაურებს თუ ვუყურე, კიდევ კარგა ხანს ვერ ვითამაშებ.

— ჰოლანდიაში ასეთი არაკვალიფიციური ექიმები არიან? მგონი, მათ ადრეც ემდუროდი...

— მეც ეგ მიკვირს. ჰოლანდიაა ბოლოს და ბოლოს, მაგრამ, ფაქტია, სუსტი ექიმები ჰყავთ, ჩემი ტრავმისა ვერც ადრე გაიგეს ვერაფერი და ვერც ახლა.

— „ტვენტეს“ ვებგვერდზე ეწერა, გახოკიძე ლევერკუზენში იყოო...

— ლევერკუზენის მახლობლად დავდივარ სამკურნალოდ, სხვათა შორის, გერმანელ ექიმთან კლაუს ტოპმიოლერმა გამიწია რეკომენდაცია — „ბოხუმში“ მუშაობის პერიოდიდან მეგობრობს მასთან და მითხრა, ძალიან კვალიფიციური ექიმიაო. რა ვიცი, გერმანიაში დამაიმედეს, ტკივილი გაგივლისო, თუმცა რამდენი ხანი გამიცდება, ჯერ ზუსტად არ უთქვამთ.

— ტრავმა ვარჯიშზე მიიღე?

— არა, წინა ტურში „უტრეხტთან“ თამაშისას ამტკივდა წელი და გამომცვალეს. ნემსებით ვთამაშობდი. მოკლედ, ძალიან დავიტანჯე, ეს ტკივილები უკვე ნერვებზე მოქმედებს.

— კლაუს ტოპმიოლერს შეხვედრიხარ და ნაკრებზეც ისაუბრებდით...

— რა თქმა უნდა. ტოპმიოლერი „უტრეხტთან“ თამაშს დაესწრო. მის სამწვრთნელო დონეზე აღარც ვლაპარაკობ და ამასთან ერთად, ძალიან თბილი და ყურადღებიანი პიროვნებაა. ტოპმიოლერი ის ადამიანია, რომლის გაცნობაც, უბრალოდ, გაგიხარდება.

— ჩვენს შესარჩევ ჯგუფზე რას იტყვი?

— უძნელესი თამაშები გველება. საფრანგეთს და იტალიას ჩემი შეფასება რაღად უნდა. რას იზამ, გრანდები არ აგვცდნენ...

— შენი აზრით, საქართველოს ნაკრებისთვის მერამდენე ადგილი შეიძლება კარგ შედეგად ჩაითვალოს?

— უკრაინას და შოტლანდიას თუ ჩამოვიტოვებთ, ეგეც კარგი საქმეა. ასე რომ, მესამე ადგილს ნურავინ დაიწუნებს. იტალიაზე და საფრანგეთზე კი... ჯგუფიდან გასვლაზე არ უნდა ვიფიქროთო, ამას არ ვიტყვი, რადგან ამბიცია ყოველთვის საჭიროა, თან ასეთი მწვრთნელის თავკაცობით.

**ილია ნანოგაშვილი**

# ქართველები უცხოეთში

# სად დაიკარგა ნახევარი საქართველოს ნაკრები?

## შალკემ წინ გაიწია, კობიაშვილმა უკან დაიწია

*ლევან ცქიტიშვილი, ალექსანდრე იაშვილი, ოთარ ხიზანეიშვილი, დავით სირაძე, ზურაბ ხიზანიშვილი, გოგა გახოკიძე* — ლამის ნახევარი საქართველოს ნაკრები ამ უქმეებზე მოედანზე არ გასულა და ამის მიზეზი ტრავმებია. ერთადერთი, ფრაიბურგელ იაშვილს არ უთამაშია ზედმეტი ყვითელი ბარათების გამო... და კიდევ: მართალია, ხიზანიშვილი „ბლექბერნის“ განაცხადში იყო, მაგრამ მასაც ძველი ტრავმა ახსენებს თავს და ჯერჯერობით თამაშს ვერ რისკავს...

ახლა სხვებზეც: გერმანულ ბუნდესლიგაში *ლევან კობიაშვილის* „შალკემ“ უჩვეულო ანგარიშით, 7:4 მოუგო „ლევერკუზენს“, თუმცა ჩვენებურს თავი არ გამოუჩენია და ამის მიზეზიც ჰქონდა — ლევანი მწვრთნელმა დაცვაში დაწია...

საინტერესოა, რომ აქამდე „შალკეს“ ზედიზედ ორ მატჩში ვერ გაეტანა გოლი...

თვალებში გამოიხედა „მილანმა“ და სტუმრად „რეჯინა“ 4:1 მიანგრია, არადა, თავიდან აგებდა. საქართველოს ნაკრების კაპიტანმა *კახა კალაძემ* სრულად და უშეცდომოდ ითამაშა.

მსაჯის სასტვენამდე წამებით ადრე მოიგო „ალკმაარმა“ და სატურნირო ცხრილში მეორე ადგილი შეინარჩუნა. *შოთა არველაძეს* ამჯერად არ გაუტანია — იგი მწვრთნელმა 58-ე წუთზე შეცვალა.



ლევან კობიაშვილის „შალკე“ ბერნდ შნაიდერის „ლევერკუზენს“ გადააფრინდა

კვიპროსის ჩემპიონატში კი ქართველებმა სამ-სამი ქულა ჩაიწერეს — *ქეცბაია-წიტაიშვილ-გაბიდაურ-მუჯირის* „ანართოსისმა“ 1:0 სძლია აეკ-ს, ხოლო *ლევან ქებაძის* „აშნამ“ დებიუტანტი „ოოი“ 6:0 გაანადგურა და პირველი ბურთი ჩვენებურმა გაიტანა.

**კახა შალამბერიძე**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | რეჯინა 4:1 | 90 | | 16 | 1 | 2 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | შ | ლევერკუზენი 7:4 | 90 | | 20 | 2 | 4 |
| ლევან ცქიტიშვილი | ვოლფსბურგი | შ | ჰერტა 1:1 | 0 | | 13 | 0 | 13 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | ოფენბახი 2:0 | 0 | დისკვალიფიცირებული იყო | 19 | 2 | 5 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი | შ | ოფენბახი 2:0 | 0 | | 2 | 0 | 5 |
| დავით სირაძე | აუე | ს | კარლსრუე 2:5 | 0 | ტრავმირებულია | 3 | 0 | 12 |
| **გერმანია. ჩრდილოეთ რეგიონალლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | ზტ. პაული | ს | ლიუბეკი — გადაიდო | | | 17 | 1 | 3 |
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი | ს | ევერტონი 0:1 | 0 | სათადარიგო | 16 | 0 | 11 |
| **ჰოლანდია. ერედივიზიონი** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | ალკმაარი | ს | სპარტა 1:0 | 58 | შეცვალეს | 22 | 17 | 2 |
| გოგა გახოკიძე | ტვენტე | შ | როდა 1:0 | 0 | ტრავმირებულია | 12 | 0 | 11 |
| **საბერძნეთი. ეროვნული ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან მაღრაძე | ქსანთი | ს | ლევადიაკოსი 2:0 | 15 | შეცვლაზე ითამაშა | 15 | 0 | 6 |
| **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | შ | აეკ 1:0 | 90 | საგოლე პასი | 14 | 3 | 4 |
| კლიმენტი წიტაიშვილი | ანართოსისი | შ | აეკ 1:0 | 77 | შეცვალეს | 15 | 3 | 4 |
| გიორგი გაბიდაური | ანართოსისი | შ | აეკ 1:0 | 0 | | 5 | 0 | 4 |
| ამირან მუჯირი | ანართოსისი | შ | აეკ 1:0 | 31 | შეცვლაზე ითამაშა | 5 | 1 | 4 |
| ლევან ქებაძე | აშნა | ს | ოოი 6:0 | 72 | 1 გოლი, შეცვალეს | 14 | 5 | 10 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*



ბადრი კეთილაშვილის ფოტო

გიორგი ქინქლაძე გამოჯანმრთელდა

# ყაზანი და ქართველობა ისევ ესპანეთშია

## რევიშვილმა სამს უნდა აჯობოს

**რუსული** პრემიერლიგის მეოთხეადგილოსანი ყაზანის „რუბინი“ სეზონისწინა შეკრებაზე ესპანეთში იყო, მერე შინ დაბრუნდა და გუშინ ისევ ესპანეთში გაფრინდა. ჩვენთვის კი უფრო საინტერესო და ახალი ისაა, რომ პირველ ესპანურ შეკრებაზე დაშავებული გიორგი ქინქლაძე მომჯობინდა და ახლაც გუნდთან ერთადაა შეკრებაზე.

„რუბინი“ ლა მანგაშია, სადაც ხვალიდან ტურნირშიც ჩაებმება — ლა მანგას თასისთვის ორ ჯგუფად დაყოფილი რვა გუნდი იბრძოლებს, რუბინის ჯგუფში არიან „ვიკინგი“ (ნორვეგია), „ოდ გრენლანდი“ (ნორვეგია) და მოსკოვის „დინამო“. პირველ მატჩს კი ყაზანელები ხვალ გამართავენ „ოდ გრენლანდთან“.

ლა მანგაში „რუბინს“ მეკარე ნუკრი რევიშვილი და მცველი ლაშა სალუქვაძეც გაჰყვნენ. საინტერესოა, რომ „რუბინმა“ ლა მანგას ტურნირზე ოთხი მეკარე წაიყვანა.

**ლუკა თალაკვაძე**

# კანკავა ზაფხულამდე მეთოფეა

## ტრამპლინს არსენალი ჰქვია

**19 წლის** ფეხბურთელისთვის უგუნდოდ ყოფნა და აქეთ-იქით გასინჯვებზე სიარული რაც არის, ყველამ იცის. ვლადიკავკაზის „ალანიადან“ წამოსვლის შემდეგ ჯაბა კანკავას ხან „ზესტაფონი“ ეპატიჟებოდა, ხან თბილისის „დინამო“, მაგრამ ახალგაზრდა საყრდენ ნახევარმცველს უცხოეთში თამაში უნდოდა — ჯაბა ცოტა ხნით უკრაინულ „კრივბასშიც“ ისინჯებოდა და საბოლოოდ უკრაინაშივე გადავიდა, ოღონდ კიევის „არსენალში“.



ჯაბა კანკავა „ალანიას“, როგორც იქნა, დაშორდა

კანკავამ „არსენალში“ მისვლისთანავე პირველ ტესტ-მატჩში დუბლი გააზერხა, მერე კიდევ ორი თამაში ჩაატარა და კიეველ „მეთოფეებსაც“ ბევრი აღარ უფიქრიათ. ჯაბა „არსენალის“ შეკრებიდან თბილისში ჩამოვიდა და გუშინ გვითხრა, რომ 16 თებერვალს კიევში კონტრაქტს მოაწერს ხელს.

„სეზონის ბოლომდე „არსენალში“ ვითამაშებ. ეს გუნდი უკრაინის ჩემპიონატში ბოლოსწინა ადგილზეა და სწორედ ამიტომ შევიკავე თავი გრძელვადიანი კონტრაქტისგან. „არსენალი“ თუ გავარდება, სხვა გუნდში წავალ, თუ არადა, შესაძლოა, დავრჩე კიდეც“ — გვითხრა ჯაბამ.

სხვათა შორის, კანკავას „არსენალი“ მამუკა ჯულელმა გამოუნახა, არადა, ფეხბურთელის აგენტი აკა ტონია გახლავთ. როგორც გავიგეთ, „კრივბასში“ გასინჯვისას ჯაბას გერმანული „კიოლნის“ ვარიანტიც გამოუჩნდა, თუმცა გაუგებარი მიზეზების გამო ჩაიშალა და ფეხბურთელმა ისევ „კრივბასში“ დაბრუნება აღარ ისურვა, არადა, კრივოიროგელებს ქართველის შეძენა ძალიან უნდოდათ.

ჯაბა კი იმედიანადაა — რაც მთავარია, გუნდი ვიპოვე, „არსენალში“ თამაში უკეთეს გუნდში გადასვლის შანსს მომცემსო.

**ილია ნანოგაშვილი**

# დერბი და დებიუტი პლაჟზე

## გაიხედავს ტოპმიოლერი აზერბაიჯანისკენ?



ბადრი კეთილაშვილის ფოტო

*აზერბაიჯანის ჩემპიონატი ამ უქმეებზე განახლდა და ქართული დერბიც გაიმართა: ერთმანეთს პირველი და მეორეადგილოსანი გუნდები შეხვდნენ — გოჩა ტრაპაიძის, რომან ახალკაცის და ლექსო ინწკირველის ევლახის „კარვანმა“ შინ 1:0 მოუგო დედაქალაქურ „ბაქოს“, რომელშიც ალეკო გოგობერიშვილის გარდა სეზონის მეორე წრიდან ალეკო რეხვიაშვილიც თამაშობს, ვისაც საქართველოს ეროვნულ ნაკრებში 21 მატჩი ჩაუტარებია. ნამატჩევს სწორედ გოგობერიშვილსა და რეხვიაშვილს შევეხმიანეთ ბაქოში...*



ბადრი კეთილაშვილის ფოტო

*ალეკო გოგობერიშვილი:*

— „კარვანში“ სამივე ქართველმა ითამაშა. წასაგები თამაში არ იყო, მაგრამ მატჩის ბოლოს 11-მეტრიანი ვერ გავიტანეთ.

— შენ და რეხვიაშვილმა სად ითამაშეთ?

— ცენტრში, საყრდენი ნახევარმცველები ვიყავით.

— ბაქოს „ნეფთჩიმ“ წლეულს მოსკოვში „თანამეგობრობის თასი“ მოიგო და ამან აზერბაიჯანში ფეხბურთისადმი ინტერესი ალბათ გაზარდა...

— რა თქმა უნდა, აზერბაიჯანში „ნეფთჩის“ წარმატება ძალიან გაუხარდათ. „ნეფთჩი“ ქვეყნის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმაც კი მიიპატიჟა. მოკლედ, გიორგი ადამიას და ვალერი აბრამიძის „ნეფთჩის“ გამარჯვება დაუფასეს.

— აზერბაიჯანი და სომხეთი ევრო 2008-ის შესარჩევ ეტაპზე ერთ ჯგუფში რომ მოხვდნენ, ამაზე როგორი აჟიოტაჟია აზერბაიჯანში?

— აზერბაიჯანში ეს ახლა მთავარი სალაპარაკო თემაა. აზერბაიჯანელებს არ სჯერათ, რომ სომხები მათთან სათამაშოდ ჩამოვლენ. იმაზე კი ჯერ არაფერს ამბობენ, თვითონ თუ წავლენ სომხეთში. ოპტიმალურ ვარიანტად ნეიტრალურ მოედანზე თამაში მიაჩნიათ, თუ სომხეთში ან აზერბაიჯანში გაიმართება მატჩები, ეს ფეხბურთი აღარ იქნებაო.

— როცა თბილისის „დინამოში“ თამაშობდი, ალენ ჟირესმა რამდენჯერმე გამოგიძახა ნაკრებში. გაქვს იმის იმედი, რომ კლაუს ტოპმიოლერი შენით დაინტერესდება?

— მე ჟურნალისტების იმედი მაქვს, რომ ხმას მიაწვდენთ ნაკრების ახალ მწვრთნელს, ვიღაცამ ხომ უნდა უთხრას ტოპმიოლერს, რომ ქართველები აზერბაიჯანშიც თამაშობენ. ვფიქრობ, აზერბაიჯანში მოთამაშე ქართველები ყურადღებას ვიმსახურებთ და ღირსნი ვართ, ერთხელ მაინც მოგვცენ სანაკრებო შანსი.

*ალეკო რეხვიაშვილი:*

— „ბაკიში“ დებიუტი მქონდა, მაგრამ კარგს ჯერ ვერაფერს გეტყვით — ეს საფეხბურთო მოედანი კი არა, ყანა უფრო იყო. მეტოქეს კი ერთი საგოლე მომენტი ჰქონდა და მოგვიგო.

— შვიდი წელი ბალტიისპირეთში თამაშობდი — სულ სხვა გარემოს და სიტუაციას როგორ ეგუები?

— კარგა ხანია, ასეთ პირობებში ფეხბურთი არ მითამაშია, მოედანზე კოჭებამდე სილაში ვეფლობოდი და ეს ყველაფერი პლაჟის ფეხბურთს მაგონებდა. მაგრამ დაწვრილმანება აღარ ღირს, თუ პროფესიონალი ხარ, რაღაც-რაღაცებზე თვალი უნდა დახუჭო და ფეხბურთი ითამაშო. მჯერა, ახალ გარემოს ალღოს ავუღებ.

— რატომ გადახვედი მაინცდამაინც „ბაკიში“?

— ლატვიურ „ვენტსპილსთან“ კონტრაქტი დამიმთავრდა და ბაქოელებმა რეალური წინადადებით მომმართეს, თანაც აზერბაიჯანულ ფეხბურთში ბოლო დროს მომხდარ სასიკეთო ცვლილებებზე საკმაო ინფორმაცია მქონდა.

**დავით თავართქილაძე**

# იდილია იდეალური ფეხბურთელისთვის

## ლამპარდი და ბარსა: სიყვარულის ახსნა დიდი ომის წინ

**„ჩელსის“ და „ბარსელონას“ საჩემპიონთალიგო მატჩამდე კვირაღა რჩება და, ცხადია, ტიტანთა ჯახის მოლოდინში დიდსაფეხბურთო ვნებებიც წამოდუღდა. ესპანურმა „ასმა“ საინტერვიუოდ ფრენკ ლამპარდი ამოირჩია, ლონდონელთა უპირველესი ვარსკვლავი, რომლის გადაბირებაც „ჩელსის“ მეტოქე კატალონიურ გრანდს მომავალი სეზონისთვის ჩაუფიქრებია. „სტემფორდ ბრიჯის“ ყორჩმა საუბარში „ბარსა“ კი შეაქო, თუმცა ისიც აღნიშნა, „ჩელსიში“ თავს შესანიშნავად ვგრძნობ და ამ იდეალური გარემოს მიტოვება „ბარსელონას“ გამოც გამიჭირდებაო**



**— თქვენ ლათინურ ენას სწავლობდით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ჩვეულებრივი ფეხბურთელის იმიჯს არ სჯერდებით...**

— ლათინურიდან ბევრი არაფერი მახსოვს, თუმცა ვამაყობ, რომ შემიძლია, ხალხს ზოგიერთი სიტყვის წარმოშობა ავუხსნა. მგონი, ლამპარდის ინტელექტით არც გულშემატკივრები არიან უკმაყოფილო.

**— ენების ცოდნის გამო არა, მაგრამ „ჩელსის“ მწვრთნელ ჟოზე მაურინიუს ფავორიტი ნამდვილად ხართ. დამრიგებლისა და მისი ფეხბურთელების ურთიერთობაზე რას გვეტყოდით?**

— მაურინიუმ შემაგულიანა, მსოფლიოში ყველაზე სრულყოფილი ფეხბურთელი ხარო, რადგან მას სურს, ამ სიმაღლეს მივაღწიო. იგი ძალიან ჭკვიანი ადამიანია. სანამ ერთმანეთს გავიცნობდით, მაურინიუში მეც იგივეს ვხედავდი, რასაც მთელი მსოფლიო — მის მედიდურობას. მაგრამ როცა დავუახლოვდი, შთაბეჭდილება შემეცვალა. იგი შეგირდებთან და ახლობლებთან შესანიშნავად იქცევა, ხუმრობს და ქედმაღლობის ნატამალსაც ვერ შეამჩნევთ. თუმც ამავდროულად მაინც საჭირო დისტანციას ინარჩუნებს. საზოგადოებაში მაურინიუს აქტიურობა ჩვენ, ფეხბურთელებს ზედმეტ დაძაბულობას გვიხსნის.

**— ამბობენ, „ბარსელონა“ „ჩელსისთან“ მომავალი მატჩის დეტალებს დაწვრილებით განიხილავს და მთლიანად საჩემპიონთალიგო მატჩზეა გადართული. თქვენთან როგორ არის საქმე?**

— მსგავსი არაფერი ხდება. არ ვიცი, მაურინიუ რას ფიქრობს, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, მწვრთნელს სულაც არ სურს, ინგლისის ჩემპიონატისადმი ინტერესი გაგვინელდეს. მომავალ მატჩებზე ზედმეტი ფიქრი, მსჯელობა და შეხვედრის მერე იმაზე სინანული — რა მოგვივიდა, ესა თუ ის დეტალი როგორ ვერ გავითვალისწინეთო, „ჩელსის“ მუშაობის სტილი არ გახლავთ. მატჩამდელი ნერვიულობა მხოლოდ დაგვასუსტებს და არაფერში არ შეგვიწყობს ხელს.

**— თქვენ პრიმერადივიზიონის მატჩებს ადევნებთ თვალს. „ბარსელონას“ თამაშებს „ჩელსის“ სხვა ფეხბურთელებიც აკვირდებიან?**

— დიახ. ბიჭები ფსონებს ჩამოდიან, როცა ტელევიზორში „ბარსას“ მატჩებს ვუყურებთ. ამ სეზონში კატალონიელების თითქმის არც ერთი შეხვედრა არ გამოგვიტოვებია. ოღონდ ეს არა მარტო ლიგაში მეტოქეობის გამო ხდება — რაიკარდის გუნდი სანახაობრივად ძალიან ლამაზ ფეხბურთს თამაშობს. მათი ფინტების ცქერით ფანტასტიკურ სიამოვნებას ვიღებთ. ბარსელების მაგიური ბურთაობა თითქმის ზეპირად შევისწავლე, თუმცა როდესაც ესპანეთიდან ტრანსლაცია იწყება, ტელევიზორს მაინც ვერ ვცილდები.

**— მოედანზე „ჩელსისა“ და „ბარსელონას“ სიძლიერე რომ შევადაროთ, შარშანდლის მსგავსად, ბევრ სხვაობას ვერც ახლა ვპოვით...**

— ასეთი მატჩების შედეგის წინასწარ გამოცნობა ძალიან ძნელია. ორივე გუნდს ბევრი გოლის გატანა შეუძლია და შინ სწორუპოვრად თამაშობენ. შარშანდელ სეზონში 20 წუთში სამი გოლი შეუგდეთ. აბა, წინასწარ ვის შეეძლო ამის განსაზღვრა. იდეალური ვარიანტი იქნება, ლონდონში „ბარსა“ საკუთარ საჯარიმოს მივაჯაჭვოთ და „კამპ ნოუზე“ აუცილებლად მოგება არ დაგვჭირდეს. გეფიცებით, ამ ორში არც ფავორიტის ვინაობა ვიცი და ვერც იმას გეტყვით, გამარჯვების შანსები რომელს უფრო აქვს. მინდორი სავსე იქნება იმ ფეხბურთელებით, რომლებიც მატჩის ბედის გადაწყვეტას მშვენივრად მოახერხებენ.

**— ცუდია, ერთმანეთთან შერკინება ასე მალე რომ გიწევთ...**

— ასეა, ევროპის ორი უძლიერესი გუნდიდან ჩემპიონთა ლიგას ერთ-ერთი უნდა გამოეთიშოს...

**— კენჭისყრით ალბათ უკმაყოფილო ხართ. წესით, გრანდები ერთმანეთს ლიგის ფინალში უნდა შეხვედროდნენ...**

— „ჩელსი“ — „ბარსას“ მსგავსი მატჩები ლიგას ალამაზებენ, თუმც ლიგის სიძლიერე მის სიურპრიზებშიცაა — შარშან თასი „ლივერპულმა“ მოიგო, იმის წინ კი პორტუგალიურმა „პორტუმ“. ჩემპიონთა ლიგის სისტემას დასაწუნი არაფერი აქვს. უბრალოდ, გრანდებს საწყის ეტაპზე თავიანთ ჯგუფებში ლიდერობა მართებთ, რათა ერთმანეთს მერე დროზე ადრე არ გადაეყარონ. „ბარსასთან“ ჯახი რომ გვიწევს, ეს ჯგუფში „ჩელსის“ ცუდი შედეგის ბრალია. თან წარმოიდგინეთ, რა იფიქრეს სხვა გუნდებმა, როცა გაიგეს, გრანდები ერთმანეთს დაჭამენო.

**— შარშანდელ სეზონთან შედარებით „ჩელსიში“ რა შეიცვალა?**

— უფრო გავძლიერდით. ვერ გეტყვით, რომ გადასარევ და ბრწყინვალე ფეხბურთს ვთამაშობთ, მაგრამ ჩვენი საქმე მშვენივრად ვიცით. ინგლისის ჩემპიონატში წლეულს მეტოქეები შარშანდელზე შეუპოვრად გვებრძვიან, თუმცა პრემიერლიგის ოქროს მაინც „ჩელსი“ მოიგებს. გამარჯვებისადმი სწრაფვა უწინდელზე მეტად გაგვიმძაფრდა, რაც ბევრ რამეში გვეხმარება. ადრე შესანიშნავი მეკარე და დაცვა გვყავდა, თუმც, ვფიქრობ, ახლა მოედნის ყველა მონაკვეთს თანაბრად ვაკონტროლებთ.

**— მეოთხედფინალის საპასუხო მატჩს ბარსელონაში თქვენდამი მტრულად განწყობილ „კამპ ნოუზე“ ჩაატარებთ. ეს „ჩელსის“ თამაშზე გავლენას მოახდენს?**

— რასაკვირველია, მოახდენს. ყველას გვინდა, თამაშის ბედი შინაურ მატჩში გადავწყვიტოთ.

**შარშანდელ ორივე მატჩში მსაჯებმა მასპინძელთა სასარგებლოდ შესცოდეს...**

— სავარაუდოდ, „სტემფორდ ბრიჯზე“ ვალდესის კარში მეოთხე გოლი მეკარეზე უხეში თამაშის მერე გავიდა, თან ტრიბუნების ფაქტორმა ზემოქმედება მოახდინა. დიდი დროგბას პირველ მატჩში გაძევებაც ცოტა უსამართლო იყო. „ბარსელონა“ ლონდონში უნდა დავამარცხოთ, თუმცა თუ ეს ვერ შევძელით, „კამპ ნოუზე“ გამარჯვებისთვის ჩავალთ. არავისი არ გვეშინია.

**— შარშანდელთან შედარებით, სხვა განსხვავებაც შეინიშნება — მაშინდელი დაძაბული მატჩების მიუხედავად, ბარსელონელებში მეგობრებიც გაიჩინეთ.**

— ბოლო თვეეში ჩემს ცხოვრებაში ბევრი კარგი რამ მოხდა. არასოდეს მიფიქრია, რომ მსოფლიოს სამ საუკეთესო ფეხბურთელს შორის მოვხვდებოდი. ორ გენიოსთან, რონალდინიოსა და ეტოოსთან ჩემი გატოლება ახლაც ვერ დამიჯერებია. რამდენიმე დაჯილდოების ცერემონიალზე ერთად ვიყავით. ისინი შესანიშნავი ბიჭები არიან და ბევრს ვმხიარულობთ, როცა ერთმანეთს ვხვდებით. მართალია, სხვადასხვა ენებზე ვსაუბრობთ, მაგრამ ყველაფერი ხომ გრამატიკულად სწორად წარმოთქმულ ფრაზაზე არაა დამოკიდებული... ძალიან მიხარია, ფეხბურთში ასეთი მეგობრები რომ მყავს. რონალდინიოს და ეტოოს განსაკუთრებულ პატივს ვცემ და ძალიან მინდა, მოედანზე მათთან ძალები კიდევ ერთხელ მოვსინჯო.

**— მაურინიუსთან თუ საუბრობთ ბარსელონასადმი სიმპათიების შესახებ?**

— პატარა რომ ვიყავი, ორი მაისურა ვიყიდე — „ვესტ ჰემის“ და „ბარსელონასი“. ჩემი საცოლეც ბარსელონელია. ევროპული ფეხბურთი მიყვარს და კატალონიელების თამაშსაც ტელევიზორით ხშირად ვუყურებ, თუმცა ჩემი სიყვარული მხოლოდ ლონდონის „ჩელსის“ ეკუთვნის. ადრე ვთქვი, რომ უცხოურ ლიგაში, კერძოდ კი, ესპანურ პრიმერაში გადასვლაზე უარს არ ვიტყოდი, მაგრამ რასაც თავიდან იტყვი, ყოველთვის ვერ აასრულებ.

**— ანუ დიდ ფეხბურთს „ჩელსის“ მაისურით უნდა გამოემშვიდობოთ?**

— კლუბთან, ფანებთან, მწვრთნელთან და ფეხბურთელებთან შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს. აქ ძალიან კარგად ვგრძნობ თავს და დიდი ჯილდოების მოგებაც დავიწყე. „ბარსელონას“ გულისთვის ვერ გავრისკავ და ასეთ იდილიას ვერ მივატოვებ.









ალესანდრო დელ პიეროს ეს გოლი მანჩინის და კაპელოს სალაპარაკო გახდა

# რა მოხდა გვირაბში, რომლის ბოლოს იუვენტუსი ჩანს

**„იტალიის დერბიში“** „იუვენტუსმა“ კარგად ითამაშა და ვერავინ იტყვის, რომ დაუმსახურებლად მოიგო, მაგრამ გამოდავების მიზეზი მაინც მოინახა — როგორც „ინტერის“ მთავარი მწვრთნელი რობერტო მანჩინი ამბობს, ჯარიმა, რომლიდანაც ალესანდრო დელ პიერომ გამარჯვების გოლი შეაგდო, არ ყოფილა.

„გოლის გატანის მერე წინ წავედით, რადგან მხოლოდ მოგება გვინდოდა, მაგრამ ალესანდრო დელ პიერომ მართლაც ბრწყინვალედ დაგვირტყა. თუმც აქ მთავარი ის არის, რომ ჯარიმა არ უნდა დანიშნულიყო. ნედვედი მსახიობია, იგი თავისით ეცემა ხოლმე, თან ამას კარგად აფორმებს და ყოველ თამაშში ასეთ ჯარიმებს აკეთებს“ — თქვა მანჩინიმ.

სამართლიანობისთვის უნდა აღვნიშნოთ, რომ გამეორებისას აშკარაა ივან კორდობას უხეშობა და თუ შეიძლება პაველ ნედვედი რამეში დავადანაშაულოთ, მხოლოდ ზედმეტ თეატრალურობაში.

რობერტო მანჩინი: „ტურინელებმა კარგად დაიწყეს, ჩვენ კი ნერვიულობა გვეტყობოდა, მაგრამ მერე თამაში გამოვასწორეთ. ვერონი მალევე შესაცვლელი შეიქნა და ამანაც აგვრია, იგი ხომ მნიშვნელოვანი ფიგურაა. თუმც ნახევარდაცვით მთლიანობაში კმაყოფილი ვარ. ობაფემი მარტინსი ბოლომდე მზად არ იყო, ადრიანო კი ამოკეტეს, მაგრამ იგი მაინც ახერხებდა ხიფათის შექმნას. მომენტები გვქონდა, თუმც ბოლო ფაზაში ვცოდავდით. ეს პრობლემა ჯერაც ვერ მოვაგვარეთ. არასაკმარისად თავდაჯერებულნი ვართ და სიმწვავე გვაკლია. ახლა მთავარია, „ლივორნოსთან“ მატჩამდე ისევ კალაპოტში ჩავდგეთ“.

„ინტერ“ — „იუვენტუსის“ მატჩს გაწევგამოწევის გარეშე არ ჩაუვლია. მცირე შელაპარაკება თამაშის მერეც გაგრძელდა. რობერტო მანჩინი არბიტრ ჯანლუკა პაპარესტას მივარდა და გამოლანძღა. ხოლო დეიან სტანკოვიჩმა ჟურნალისტებს გასახდელში შემავალი გვირაბის კარი ჩაუკეტა და იქ ვინ ან რაზე ისაუბრა, უცნობია.

„მცირე კამათი გვქონდა და ვიცი, რა ინტერპრეტაციებიც მოჰყვებოდა ამას პრესაში. ჟურნალისტებს კარი ამიტომ ჩავუკეტე. ჩვენი დისკუსია კი ემოციურ საუბარს არ გასცილებია. „იუვენტუსმა“ ეს მოგება დაიმსახურა“ — აღნიშნა სტანკოვიჩმა.

ძალიან გაბრაზებული იყო ლუიშ ფიგუ, თუმც კონკრეტული მიზეზი არ უთქვამს: „ეს ნამდვილი სკანდალია. მთელმა მსოფლიომ უნდა ნახოს, რაც დღეს მოხდა“.

ახლა „იუვენტუსის“ მთავარ მწვრთნელ ფაბიო კაპელოსაც მოვუსმინოთ: „კარგად ვითამაშეთ, ძალიან სახიფათოდაც და ყურადღებითაც. არა მგონია, ვინმემ თქვას, რომ დაუმსახურებლად მოვიგეთ. ასეთ შეხვედრებში ყველაფერი შეიძლება მოხდეს და ნებისმიერი შედეგი მეტ-ნაკლებად ლოგიკურია. მოსაგებად ვითამაშეთ და მოვიგეთ კიდეც. „სან სიროზე“ დაცვაში ჩასაჯდომად ვერ ჩავხვალ, რადგან ადრე თუ გვიან გოლს აუცილებლად გაგიტანენ“.

შემდეგ კაპელომ მსაჯობაზე ისაუბრა და პაპარესტას თანამსაჯებითურთ გარჯა შეუქო. დონ ფაბიოს ალექს დელ პიეროზეც ჰკითხეს — კარგ ფორმაშია, გოლებიც გააქვს და მაინც მცირე ხნით ათამაშებთ, თქვენ შორის ისევ დაძაბული ურთიერთობა ხომ არ არისო.

კაპელომ მოკლედ მოჭრა: „ჩემი იღბალია, რომ მყავს ფეხბურთელები, რომლებიც ჩემს გადაწყვეტილებებს გაგებით და თანხმობით ხვდებიან. ეს აუცილებელია, რადგან ყველანი ერთ საქმეს ვაკეთებთ და გუნდის წარმატებისთვის ვმუშაობთ“.

„იუვენტუსმა“ „ინტერთან“ ჯანლუკა ძამბროტასა და ჯონათან ძებინას გარეშე ითამაშა და კაპელო იძულებული გახდა, ფლანგები ორი ახალგაზრდა და არცთუ გამოცდილი მოთამაშისთვის, ფედერიკო ბალძარეტისა და ჯორჯო კიელინისთვის დაეთმო. მათაც ამოცანას თავი მშვენივრად გაართვეს.

„დილით გადაწყვეტილი არ მქონდა, რას ვიზამდი და ფლანგების პრობლემას როგორ მოვაგვარებდი. ბალძარეტი და კიელინი ნამდვილად იმსახურებენ შექებას. ვიმედოვნებ, „სკუადრა ატურაში“ დიდი მომავალი აქვთ“ — აღნიშნა კაპელომ, რომელმაც ბოლოს დასძინა, რომ სკუდეტოსთვის ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა, მიუხედავად იმისა, რომ „იუვენტუსი“ უახლოეს მდევრებს ანუ მილანურ კლუბებს უკვე 12 ქულით უსწრებს და 13 ტურია დარჩენილი. „მართლაც დიდი უპირატესობა გვაქვს და ეს კარგი თამაშით მოვიპოვეთ, მაგრამ ბრძოლა ჯერ წინაა. ეს თუნდაც „რომას“ მაგალითზე ჩანს, რომელმაც ზედიზედ 9 მატჩი მოიგო... ფეხბურთში ყველაფერი ხდება და სანამ სკუდეტოს ოფიციალურად არ გავიფორმებთ, ზეიმი ნაადრევია.“

თავის სტიქიაშია „ბებერი ქალბატონის“ გენერალური დირექტორი ლუჩანო მოჯი: „პირდაპირ ვთქვათ, რომ საუკეთესომ მოიგო. გამარჯვება ნამდვილად დავიმსახურეთ და ყველას დავუმტკიცეთ, რომ სერიოზულ ძალას წარმოვადგენთ. „იუვემ“ ნებისმიერ სიტუაციაში იცის, რა უნდა გააკეთოს. მგონი, არც მსაჯებზე აქვს ვინმეს სალაპარაკო. „ინტერი“ კი ძალიან კარგი გუნდია და ჩინებულ სეზონს ატარებს. ვფიქრობ, „ნერაძური“ მეორე ადგილით კმაყოფილი დარჩება, მაგრამ ვშიშობ, „მილანმა“ არ აჯობოს. ეს მათთვის მართლაც გულდასაწყვეტი იქნება“.

**გიორგი ძაძამიძე**

# აი ია და აი ბალაკი

## ტონიმ პენალტი მოიბოდიშა




ლუკა ტონი



**მიხაელ ბალაკის** მომავალი კლუბის ვინაობა ერთ კვირაში გაირკვევა. ყოველ შემთხვევაში, მისი აგენტი და სეხნია მიხაელ ბეკერი ასე ამბობს. კარგად იცით, რომ ნახევარმცველს „ბაიერნთან“ კონტრაქტი ამ სეზონის ბოლოს ეწურება და ზაფხულში თავისუფალი აგენტი გახდება. ასეთი დონის ფეხბურთელის უფასოდ ხელში ჩაგდებაზე კი უარს ვინ იტყვის. მართალია, მიუნხენელებს მისი შენარჩუნება უნდათ, მაგრამ ბალაკს უცხოეთისკენ მიუწევს გული. მსურველები კი ოხრად არიან — „რეალი“, „ბარსელონა“, „მანჩესტერ იუნაიტედი“, „ინტერი“, „იუვენტუსი“ და ახლა უკვე „ფიორენტინაც“.

„ერთ კვირაში ყველაფერი გადაწყდება. ბალაკის კარიერაში ახლა ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია და მომავალი კონტრაქტის ყველა დეტალს ყურადღებით ვეკიდებით. ჩემპიონთა ლიგის განახლებამდე ჩემი კლიენტის პასუხი გვეცოდინება“ — თქვა ბეკერმა.

„ფიორენტინა“ ბოლო კლუბია, რომელიც მიხაელ ბალაკს დაუკავშირეს. იტალიური პრესის ცნობით, ფლორენციელებს გერმანელის შეძენა ძალიან უნდათ და საამისო შანსიც აქვთ. თუმცა ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, თუ „იები“ ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოიპოვებენ, რაც კლუბს დაახლოებით 10 მილიონ ევროს მოუტანს.

ჩვენ კი ბოლოს „ფიორენტინას“ ფორვარდი ლუკა ტონი ვახსენოთ. სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირმა გასულ ტურში „ლივორნოსთან“ მნიშვნელოვან მატჩში პენალტი გააფუჭა, რის მერეც „იებმა“ კრისტიანო ლუკარელისგან ორი გოლი გაუშვეს და წააგეს.

ლუკა ტონი: „ცუდი დღე იყო. ის პენალტი უნდა გამეტანა და ყველაფერი სხვანაირად იქნებოდა, მაგრამ... მინდა, ფანებს მოვუბოდიშო“.

**კოკი კანდელაკი**

# ტოტი უხსენებლის ტყავში შეძვრა




**რა პირობაა** საჭირო იმისთვის, რომ „რომას" ფეხბურთელი სამტროდ გადაკიდებული „ლაციოს" ფანი გახდეს? პასუხი: „ლაციო" „ფიორენტინას" უნდა შეხვდეს. სერია A-ს მომავალ ტურში სწორედ ეს მატჩი გაიმართება ფლორენციაში. და ვინ გამოუტყდა „ლაციოს" სიყვარულში? თვით... ფრანჩესკო ტოტი! დიახ, „რომას" კაპიტანმა, გუნდის ქომაგთა კერპმა „ლაციალეს" მაისურა „მოირგო".

ზედიზედ მეცხრე მატჩის მოგებით გალაღებულმა და მადაზე მოსულმა „რომამ" თვალი მეოთხე ადგილს დაადგა, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის შანსს იძლევა. ამ ადგილზე კი ფლორენციის „ფიორენტინა" მოკალათებულა და დათმობას, ცხადია, არ აპირებს. მაგრამ, დახეთ, ფლორენციელებმა გასულ უქმეებზე სტუმრად „ლივორნოსთან" წააგეს და „რომა" მათ ახლა ორი ქულითღა ჩამორჩება. მომავალ ტურში „ლაციო" „ფიორენტინას" თუ მოუგებს, ხოლო ალვირახსნილი „რომა" შინ „ემპოლის" დაამარცხებს, ფრანჩესკო ტოტის გუნდი მეოთხე საფეხურზე გადასკუპდება. ჰოდა, ამიტომაცაა, რომ ტოტი „ლაციოს" ქომაგობას აპირებს.

რომაელთა კაპიტანმა თავის ნათქვამში სიტყვა „ლაციო" მაინც არ ახსენა: „ცხოვრებაში პირველად ვუქომაგებ მათ „ფიორენტინას" წინააღმდეგ. მადლობა „ლივორნოს" მწვრთნელ კარლო მაცონეს, რომელმაც ფლორენციელები ხელცარიელი გაისტუმრა და ამით „რომას" საქმე გააკეთა, ჩვენ კი, თუ ასე გავაგრძელეთ თამაში, მეოთხეს კი არა, მესამე ადგილსაც შევწვდებით".

# თუნმა გრძელი დაამოკლა


ურს შონენბერგერი

**უეფას** თასზე „ჰამბურგთან" საშინაო მატჩის წინ შვეიცარიული „თუნის" მწვრთნელი ურს შონენბერგერი მოხსნეს.

„თუნმა" შარშან ზაფხულს ევროპა გააოცა, როცა ჩემპიონთა ლიგაში შეძვრა და ჯგუფში „არსენალი", „აიაქსი" თუ „სპარტა" გვერდიგვერდ გააწამა. შვეიცარიულმა გუნდმა იმდენი მოახერხა, რომ მესამე ადგილზე გავიდა და უეფას თასზე თამაშის უფლება მოიპოვა. ჩემპიონთა ლიგამ „თუნი" გამოფიტა, ამან კი შინაურ ჩემპიონატში შედეგების გაუარესება გამოიწვია. გუშინწინ „ქსამასთან" უგოლო ფრის შემდეგ კლუბის პრეზიდენტმა, კურტ ვედერმა, განაცხადა: „შონენბერგერმა ჩვენ ჩემპიონთა ლიგა გვაჩვენა, მაგრამ ახლა გუნდი აშკარად უკან-უკან მიდის და იძულებულნი ვართ, მწვრთნელი შევცვალოთ".

ურს შონენბერგერის ადგილს მისი თანაშემწე ადრიან კუნცი დაიკავებს და ზეგ „თუნს" „ჰამბურგთან" მატჩში უთავკაცებს.

# ინტერის ინტერესი:
## მილიტო და გონსალესი

**მილანის** „ინტერი" ორ არგენტინელს უმიზნებს. „ნეროაძური" ამჯერად დიეგო მილიტოთი და მარიანო გონსალესით დაინტერესებულა. პირველი ფორვარდია, მეორე შემტევი ნახევარმცველი.

წინა კვირაში დიეგო მილიტო ყურადღების ცენტრში მოექცა. სარაგოსელმა ესპანეთის თასზე მადრიდის „რეალს" ოთხი გოლი გაუტანა. იქამდე იყო ორი გოლი „ბარსელონას" კარში. ამას თუ მიმდინარე პრიმერადივიზიონში შეგდებულ 11 ბურთსაც დავუმატებთ, აშკარა გახდება, რომ 26 წლის ფეხბურთელი მეტოქეების რისხვაა, რობერტო მანჩინი კი საკმაო ხანია, ასეთ ფორვარდს ეძებს. თანაც „ნეროაძური" მილიტოს ადრეც უტრიალებდა, ხოლო არგენტინელისთვის იტალიური ფეხბურთი უცხო არ არის, იგი ჯერაც „ჯენოას" საკუთრებაა. ამბობენ, გენუელები მას დაახლოებით 8-9 მილიონ ევროდ აფასებენო.

მარიანო გონსალესიც, ბოლო დროს მოექცა ყურადღების ცენტრში. ეს ჯუზეპე პაპადოპულოს დამსახურებაა, რომელმაც „პალერმოს" სათადარიგოთა სკამზე მიკარგული გონსალესი ძირითად შემადგენლობაში დააბრუნა, თანაც წინ წაწია და ახლა გამოკვეთილ ფორვარდ ანდრეა კარაჩოლოს უკან ათამაშებს. შედეგიც რიგიანია — სამ მატჩში სამი გოლი და ჩინებული თამაში. 24 წლის გონსალესს მაყურებლისთვის თამაშით სიამოვნების მინიჭება ყოველთვის შეეძლო, მაგრამ ამჟამად ეს ერთიორად კარგად გამოსდის. ალბათ იმიტომ, რომ მეტი სივრცე და მოქმედების თავისუფლება აქვს.

ამბობენ, „პალერმოს" პრეზიდენტი მაურიციო ძამპარინი სარფიანი შეთავაზების შემთხვევაში გონსალესს შეელევაო. თანაც სიცილიურ კლუბში ამ პოზიციაზე მოთამაშე ფრანკო სემიოლის გადასვლა იგეგმება. იმაზეც ლაპარაკობენ, გონსალესის სანაცვლოდ „პალერმოში" შეიძლება, მისი თანამემამულე ნიკოლას ბურდისო გადავიდესო.

**გიორგი ძაძამიძე**


დიეგო მილიტო

# ბელამი ღამეც თავდამსხმელია



**უელსის** ნაკრებისა და „ბლექბერნის" ფორვარდი კრეიგ ბელამი შარში გაეხვა. 26 წლის თავდამსხმელი ახალგაზრდა გოგოზე ძალადობაშია ეჭვმიტანილი, თუმცა ეს საქმე ჯერ ბურუსითაა მოცული. ინციდენტი კარდიფის ერთ-ერთ ღამის კლუბში 5 თებერვალს ღამით მოხდა.

„19 წლის გოგონაზე თავდასხმის ფაქტს ვიძიებთ. ამასთან დაკავშირებით, უკვე დავკითხეთ ორი პიროვნება. სხვა ინფორმაციას ვერ მოგაწვდით, მიმდინარეობს გამოძიება" — თქვა კარდიფის პოლიციის წარმომადგენელმა.

ალბათ, ხვდებით, რომ ხსენებული ორი პიროვნებიდან ერთ-ერთი ბელამია, ხოლო მეორე, როგორც ამბოებენ, — მისი მეგობარი. 5 თებერვალს ისინი ერთად იყვნენ ღამის კლუბში, რის მერეც დაზარალებულმა გოგონამ პოლიციას მიმართა და მოძალადეებს უჩივლა.

თავად ბელამის, კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია. დუმილს ამჯობინებს „ბლექბერნიც". კლუბის წარმომადგენლებმა მოკლედ თქვეს — ეს ჩვენი საქმე არაა და, იმედია, ყველაფერი მალე გაირკვევაო.

**გიორგი ძაძამიძე**

# არც ერთი დანიელი მუსლიმის გვერდით!



კიმ მილტონ ნილსენი

**ცხვირი** პირისგან არ მოიჭრებაო და, ასეა პოლიტიკა და სპორტიც. ეს ყატარიდან ცნობილი დანიელი არბიტრის, კიმ მილტონ ნილსენის იძულებითმა აბარგებამაც დაადასტურა. მილტონ ნილსენი არაბულ ქვეყანაში საერთაშორისო პროგრამით იმყოფებოდა და იქაურ ლიგაში ერთ-ერთი მატჩი უნდა ემსაჯა, თუმცა დანიურ გაზეთებში მუსლიმთა წინასწარმეტყველის, მუჰამედის კარიკატურების გამოჩენის შემდეგ ყატარული მაღაზიებიდან დანიური რძის პროდუქტები და საფეხბურთო ლიგიდან დანიელი არბიტრი ერთდროულად გაქრეს. მსაჯის კვალს გაჰყვა ყველა მისი თანამემამულე სპორტსმენი — ყატარში და საუდის არაბეთში დანიელი მეგოლფეებიც აღარ გაუჩერებიათ. თუ მუსლიმურ ქვეყნებში დანიის საელჩოებზე განრისხებული ფანატიკოსების იერიშებს გაიხსენებენ, კიმ მილტონ ნილსენს და მის თვისტომ მეგოლფეებს არაბეთის მიტოვებაზე გული არ უნდა დასწყდეთ...

**ლადო ხომერიკი**

# არსენ ვენგერის მუქი სტაფილოსფერი ხუმრობა

„არსენალის“ ხოსე ანტონიო რეიესი მძიმე ტრავმას გადაურჩა. შაბათს, „ბოლტონთან“ მატჩისას, მას ტყუპწიხლა ვარდნით გაუმასპინძლდნენ.

ამ ტყუპი წიხლის შემოქმედი აბდულაი ფაიე იყო, რეიესს კი ფეხი სტკივა, თუმცა მოტეხილი არა აქვს.

„გადავრჩი — თქვა რეიესმა — მუხლი რომ გამტეხოდა, რაღა მეშველებოდა?“

ესპანელი ტრავმირებულია, მაგრამ ისეთი პირი უჩანს, რომ 21 თებერვლისთვის მზად უნდა იყოს და ჩემპიონთა ლიგის მატჩში „ბერნაბეუზე“ უნდა დაეხმაროს თავის გუნდს.

ფაიემ ამ ჯარიმისთვის ყვითელი ბარათი კი მიიღო, თუმცა არსენ ვენგერმა მწარედ იხუმრა, თუ წითელი არა, მუქი სტაფილოსფერი მაინც ეკუთვნოდაო.

**ირაკლი გამყრელიძე**



„ბოლტონთან“ დაშავებული ხოსე ანტონიო რეიესი



# რაიკარდი მაკლარენს ურეკავს

## ჟოზეს მოსაგებად ყველა გზა კარგია

შაბათს რომ „მიდლსბრომ“ „ჩელსის“ მოუგო, „ბარსას“ თავკაცმა ფრანკ რაიკარდმა გადაწყვიტა, რჩევა „ბოროს“ მენეჯერ სტივ მაკლარენისთვის ეკითხა.

22 თებერვალს კატალონიელები „სტემფორდ ბრიჯს“ სტუმრობენ ჩემპიონთა ლიგის მატჩში. ამ ორი გუნდის შარშანდელი შეხლა ჯამურად „ჩელსიმ“ მოიგო 5:4, ჰოდა, ახლა რაიკარდს წინაღობის დაძლევა სწყურია.

„ჩვენი მზირი მიდლსბროში იყო და ამიტომ ვიცით, რაც მოხდა. ჩანს, ყველაფერი წესრიგში ვერაა“ — თქვა რაიკარდმა — ბოლოს და ბოლოს, ფეხბურთელებიც ადამიანები არიან. თუმცა ჩვენ ჩვენი საქმე გვაქვს.“

მაურინიუ კი ხუმრობს, რომ „ჩელსი“ თავისი იშვიათი წაგებებით გუნდების გადამრჩენი შეიქნა: „მაჩანჩალა „ბეტისთან“ წაგებით ამ გუნდს სული შთავბერეთ. ასევე „ბოროს“, რომელმაც ჩვენამდე 11 უპასუხო გოლი გაუშვა. „ევერტონი“ ბოლო ადგილზე იყო და ქულა ვუბოძეთ, იმის მერე არ წაუგია“.

**ირაკლი გამყრელიძე**

# გაჯორდება ჰიცფელდი?



„ნიუკასლი“ მზადაა, მოლაპარაკებები დაიწყოს ოტმარ ჰიცფილდთან, რათა ეს დიადი კაცი შეიქნეს ჯორდების მწვრთნელი.

ეს ამბავი მას შემდეგ გახმიანდა, რაც გერმანელი ნიუკასლის ქუჩებში დალანდეს ორი დღის წინათ.

კლუბის თავმჯდომარე ფრედი შეპერდს გადაწყვეტილი ჰქონია, რომ ერთხელ და სამუდამოდ ჩააყენოს თავისი გუნდი უძლიერესთა შორის.

ჰიცფილდი კი ბოლო წელიწადნახევარია, უმუშევარია და ეგებ ახალი სამსახური ჭკუაში დაუჯდეს კიდეც.

**ირაკლი გამყრელიძე**

# რეინჯერსს და ლე გუენს ცოლი ადასტურებს



პოლ ლე გუენი

წინდაწინვე გამოცხადებულია, რომ „რეინჯერსის“ თავკაცი ალექს მაკლიში სეზონის ბოლოს თანამდებობას დატოვებს. კლუბის უფროსობა ჯერჯერობით არ ადასტურებს, მაგრამ ახალ მენეჯერად ფრანგია შეგულებული: „ლიონის“ ყოფილი მწვრთნელი პოლ ლე გუენი. ამის ირიბ დადასტურებად ისიც გამოდგება, რომ კვირას „ოლდ ფირმზე“, რომელიც „სელტიკმა“ მოიგო, ლე გუენის მარჯვენა ხელი ივ კოლუ გამოჩნდა. კოლუ მარტო არ ყოფილა, თავისი და ლე გუენის ცოლები ახლდნენ.

ლე გუენმა სამჯერ ზედიზედ გახადა „ლიონი“ ჩემპიონი, გადადგა და მთელი წელი ტელეწამყვანად იმუშავა. ახლა კი, ჩანს, კვლავ ფეხბურთს უბრუნდება.

**ირაკლი გამყრელიძე**

# სიომინმა აჯანყება ჩააქრო

მოსკოვის „დინამოს“ პორტუგალიელი ლეგიონერი კოშტინია გუნდიდან დროებით მიაბრძანეს. რუსული კლუბი ესპანური შეკრებიდან შინ ლეგიონერის გარეშე დაბრუნდა, რომელიც მწვრთნელს აუჯანყდა. მწვრთნელი კი იური სიომინია, ვინაც ნაკრებიდან წასვლის შემდეგ „დინამო“ ჩაიბარა. კოშტინიამ სიომინის წესებით „თამაში“ იუარა და დასაჯეს.

„კლუბის პატრონთან შეთანხმებით გადავწყვიტე, რომ კოშტინია დროებით მოვიშორო — თქვა „დინამოს“ თავკაცმა — მე ვერ გავაჩერებ გუნდში ისეთ ფეხბურთელს, რომელიც არ მემორჩილება და წყალს ამღვრევს“.

კოშტინია რუსულმა კლუბმა შარშან 4 მილიონ ევროდ „პორტუდან“ შეიძინა. პორტუგალიელს ჯერჯერობით „დინამოსთან“ კონტრაქტი აკავშირებს, მაგრამ შესაძლოა, იგი „ბენფიკას“ ანდრეი კარიაკაში გაუცვალონ.

გასულ წელს პორტუგალიელებით გავსებული „დინამო“ იური სიომინმა „დაბერტყა“. ჟორჟე რიბეირუ, ტიაგუ და სილვა, ნუნუ ფრეშო და მანიშე რუსეთიდან აიბარგნენ.

**ვაჟა ხუციშვილი**





## პორტუგალია

### სუპერლიგა. XXII ტური

**ბენფიკა 4:0 პენაფიელი**

1:0 ჟოვანი (37), 2:0 რობერტო (62ს.კ.), 3:0 ნუნუ გომეში (77), 4:0 სიმაო (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 22 | 14 | 6 | 2 | 34:13 | 48 |
| ბენფიკა | 22 | 13 | 4 | 5 | 37:19 | 43 |
| სპორტინგი | 22 | 13 | 4 | 5 | 33:22 | 43 |
| ბრაგა | 22 | 12 | 5 | 5 | 23:13 | 41 |
| ნასიონალი | 22 | 11 | 6 | 5 | 27:16 | 39 |
| ბოავიშტა | 22 | 10 | 8 | 4 | 31:19 | 38 |
| სეტუბალი | 22 | 10 | 3 | 9 | 17:18 | 33 |
| ლეირია | 22 | 9 | 4 | 9 | 31:30 | 31 |
| მარიტიმუ | 21 | 6 | 9 | 6 | 27:25 | 27 |
| ამადორა | 22 | 7 | 6 | 9 | 18:21 | 27 |
| რიუ ავე | 22 | 6 | 8 | 8 | 24:28 | 26 |
| აკადემიკა | 22 | 7 | 5 | 10 | 20:28 | 26 |
| ბელენენსეში | 22 | 7 | 4 | 11 | 26:26 | 25 |
| ფერეირა | 22 | 7 | 4 | 11 | 22:31 | 25 |
| ჟილ ვისენტე | 22 | 7 | 3 | 12 | 22:26 | 24 |
| ნავალი | 22 | 6 | 3 | 13 | 21:32 | 21 |
| გიმარაეში | 21 | 4 | 5 | 12 | 12:29 | 17 |
| პენაფიელი | 22 | 2 | 5 | 15 | 15:44 | 11 |

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 38-11-14
877 54 55 00

## არგენტინა

### კლაუსურა. IV ტური

არგ. ხუნიორსი — ინდეპენდიენტე 2:1; სან ლორენსო — ოლიმპო 2:0; რასინგი — ველესი 0:2; ტირო ფედერალი — კოლონი 0:1; ხიმნასია (ლ) — ესტუდიანტესი 1:1; ოლდ ბოისი — ხიმნასია (ხ) 3:1; ინსტიტუტო — ბოკა ხუნიორსი 1:1; ლანუსი — როსარიო 2:0; რივერ პლეიტი — ბანფილდი 3:1; კილმესი — არსენალი 1:0

## მექსიკა

### კლაუსურა. V ტური

ტეკოსი — პაჩუკა 0:5; ტოლუკა — მონტერეი 0:1; ხაგუარესი — კრუზ ასული 1:0; ატლანტე — სან ლუისი 1:1; კულიაკანი — გვადალახარა 1:1; ატლასი — მორელია 1:1; ტიგრესი — ნეკაქსა 1:2; უნამი — ტიბურონესი 2:0; სანტოსი — ამერიკა 2:2

## ჩილე

### პრიმერადივიზიონი. III ტური

მორნინგი — კობრელოა 1:1; ევერტონი — ანტოფაგასტა 2:0; უაჩიპატო — იტალიანო 1:3; ლა სერენა — კოლო კოლო 3:3; ჰიგინსი — კობრესალი 0:1; პალესტინო — კოკიმბო 3:1; პუერტო მონტი — რეინჯერსი 4:1; უნივერსიდად კათოლიკა — ესპანიოლა 2:1; უნივერსიდად დე ჩილე — კონსეპსიონი 2:1

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **14 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 2 | ლივერპული-არსენალი | 2.05 | 3.20 | 3.45 | 1.24 | 1.28 | 1.66 |
| | | **15 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 3 | ბლექბერნი-სანდერლენდი | 1.40 | 4.20 | 7.30 | 1.04 | 1.17 | 2.66 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **14 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 5 | ბარნლი-ვულვერჰემპტონი | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 23:45 | 6 | ლიდსი-უოტფორდი | 2.20 | 3.20 | 2.95 | 1.30 | 1.26 | 1.53 |
| 23:45 | 7 | ნორვიჩი-ბრაიტონი | 1.75 | 3.20 | 4.50 | 1.13 | 1.25 | 1.87 |
| 23:45 | 8 | ლუტონი-კარდიფი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| 23:45 | 9 | მილუოლი-ჰალი | 2.35 | 3.20 | 2.80 | 1.35 | 1.27 | 1.49 |
| 23:45 | 10 | ლესტერი-დერბი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 23:45 | 11 | ქრიუ-იფსვიჩი | 3.00 | 3.20 | 2.20 | 1.54 | 1.26 | 1.30 |
| 23:45 | 12 | კრისტალ პალასი-ქპრ | 1.65 | 3.40 | 4.90 | 1.11 | 1.23 | 2.00 |
| 23:45 | 13 | სტოკი-პლიმუთი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| 23:45 | 14 | შეფილდი-რედინგი | 2.60 | 3.20 | 2.45 | 1.43 | 1.26 | 1.38 |
| | | **15 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 15 | საუთჰემპტონი-პრესტონი | 2.70 | 3.20 | 2.40 | 1.46 | 1.27 | 1.37 |
| 23:45 | 16 | ქოვენთრი-უენსდი | 1.80 | 3.20 | 4.20 | 1.15 | 1.25 | 1.81 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **14 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 27 | იოვილი-დონსი | 1.90 | 3.30 | 3.65 | 1.20 | 1.24 | 1.73 |
| 23:45 | 28 | ბლეკპული-ჰადერსფილდი | 2.65 | 3.20 | 2.40 | 1.44 | 1.25 | 1.37 |
| 23:45 | 29 | ბარნსლი-პორტ ვეილი | 1.75 | 3.20 | 4.30 | 1.13 | 1.24 | 1.83 |
| 23:45 | 30 | ტრანმერი-ჰარტლპული | 1.80 | 3.20 | 4.20 | 1.15 | 1.25 | 1.81 |
| 23:45 | 31 | როტერჰემი-ბორნმუთი | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| 23:45 | 32 | სკანთორპი-ბრისტოლი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 23:45 | 33 | სუონსი-ბრედფორდი | 1.65 | 3.40 | 4.60 | 1.11 | 1.21 | 1.95 |
| 23:45 | 34 | სუინდონი-ჯილინგემი | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 23:45 | 35 | კოლჩესტერი-უოლსოლი | 1.50 | 3.50 | 6.30 | 1.04 | 1.21 | 2.25 |
| 23:45 | 36 | ბრენტფორდი-საუთენდი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| | | **15 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 37 | ოლდემი-ნოტინგემი | 2.05 | 3.20 | 3.10 | 1.24 | 1.23 | 1.57 |
| 23:30 | 38 | ჩესტერფილდი-დონკასტერი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **14 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 51 | ტორკი-ბერი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 23:45 | 52 | სტოკპორტი-როჩდეილი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 23:45 | 53 | პიტერბრო-დარლინგტონი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 23:45 | 54 | ბარნეტი-ლინკოლნი | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| 23:45 | 55 | როვერსი-ჩელტენემი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 23:45 | 56 | კარლაილი-შრიუსბერი | 1.60 | 3.40 | 4.95 | 1.08 | 1.20 | 2.01 |
| 23:45 | 57 | ნოტსი-უიკომბი | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| 23:45 | 58 | ნორთჰემპტონი-ლეიტონი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 23:45 | 59 | მენსფილდი-გრიმსბი | 2.85 | 3.20 | 2.20 | 1.50 | 1.24 | 1.30 |
| 23:45 | 60 | რექსემი-რაშდენი | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| | | **15 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 61 | ბოსტონი-ჩესტერი | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| 23:45 | 62 | ოქსფორდი-მაკლსფილდი | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| | | **ესპანეთი** | | | | | | |
| | | **I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **18 თებერვალი** | | | | | | |
| 23:00 | 212 | რეალი-ალავესი | 1.25 | 4.90 | 9.50 | 1.00 | 1.10 | 3.23 |
| 21:00 | 214 | ვილიარეალი-ესპანიოლი | 1.70 | 3.40 | 4.70 | 1.13 | 1.24 | 1.97 |
| 23:45 | 215 | სევილია-სელტა | 1.90 | 3.20 | 3.90 | 1.19 | 1.27 | 1.75 |
| 21:00 | 221 | ბარსელონა-ბეტისი | 1.25 | 5.00 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.43 |
| | | **19 თებერვალი** | | | | | | |
| 20:00 | 209 | კადისი-ოსასუნა | 2.75 | 3.00 | 2.50 | 1.43 | 1.30 | 1.36 |
| 22:00 | 211 | მალაგა-მალიორკა | 2.05 | 3.20 | 3.35 | 1.24 | 1.27 | 1.63 |
| 22:00 | 216 | სოსიედადი-ვალენსია | 3.20 | 3.00 | 2.25 | 1.54 | 1.32 | 1.28 |
| 20:00 | 218 | რასინგი-ბილბაო | 2.05 | 3.10 | 3.50 | 1.23 | 1.29 | 1.64 |
| 23:45 | 219 | ხეტაფე-ატლეტიკო | 2.50 | 3.00 | 2.65 | 1.36 | 1.28 | 1.40 |
| 20:00 | 220 | დეპორტივო-სარაგოსა | 1.95 | 3.10 | 3.85 | 1.19 | 1.29 | 1.71 |
| | | **საფრანგეთი** | | | | | | |
| | | **I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **14 თებერვალი** | | | | | | |
| 23:00 | 492 | სტ.ეტიენი-ნიცა | 2.10 | 2.80 | 3.70 | 1.20 | 1.33 | 1.59 |
| 23:00 | 493 | ნანტი-ტრუა | 1.80 | 3.00 | 4.80 | 1.12 | 1.30 | 1.84 |
| | | **უეფას** | | | | | | |
| | | **თასი** | | | | | | |
| | | **15 თებერვალი** | | | | | | |
| 18:30 | 396 | ლიტექსი-სტრასბური | 2.25 | 3.10 | 2.95 | 1.30 | 1.27 | 1.51 |
| 20:30 | 397 | პეტრჟალკა-ლევსკი | 1.90 | 3.20 | 3.90 | 1.19 | 1.27 | 1.75 |
| 20:30 | 398 | ლოკომოტივი(მ)-სევილია | 2.25 | 3.10 | 3.00 | 1.30 | 1.28 | 1.52 |
| 21:00 | 399 | ბაზელი-მონაკო | 2.40 | 3.10 | 2.80 | 1.35 | 1.29 | 1.47 |
| 21:00 | 400 | ჰერტა-რაპიდი(ბ) | 1.45 | 3.60 | 7.00 | 1.03 | 1.20 | 2.37 |
| 22:00 | 401 | ლილი-შახტარი | 1.90 | 3.20 | 3.90 | 1.19 | 1.27 | 1.75 |
| 22:30 | 402 | რუსენბორგი-ზენიტი | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 23:00 | 403 | შალკე-ესპანიოლი | 1.65 | 3.40 | 5.00 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| 22:15 | 404 | ჰერენვენი-სტიაუა | 2.15 | 3.10 | 3.20 | 1.26 | 1.28 | 1.57 |
| 23:45 | 405 | უდინეზე-ლანსი | 1.90 | 3.20 | 3.80 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| 23:45 | 406 | ბოლტონი-მარსელი | 1.95 | 3.20 | 3.65 | 1.21 | 1.27 | 1.70 |
| 23:45 | 407 | ბრიუგე-რომა | 2.90 | 3.20 | 2.25 | 1.52 | 1.26 | 1.32 |
| 23:45 | 408 | ბეტისი-ალკმაარი | 1.95 | 3.20 | 3.70 | 1.21 | 1.27 | 1.71 |
| | | **16 თებერვალი** | | | | | | |
| 21:30 | 409 | თუნი-ჰამბურგი | 3.20 | 3.20 | 2.10 | 1.60 | 1.26 | 1.26 |
| 23:45 | 410 | შტუტგარტი-მიდლსბრო | 1.95 | 3.20 | 3.60 | 1.21 | 1.26 | 1.69 |
| 23:45 | 411 | სლავია-პალერმო | 2.55 | 3.10 | 2.60 | 1.39 | 1.28 | 1.41 |
| | | **შოტლანდია. თასი** | | | | | | |
| | | **14 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 417 | გრეტნა-კლაიდი | 1.85 | 3.40 | 3.70 | 1.19 | 1.23 | 1.77 |
| 23:45 | 418 | სტ.მირენი-სპარტანსი | 1.15 | 6.00 | 14.00 | 1.00 | 1.06 | 4.19 |
| 23:45 | 420 | როსი-ფოლკირკი | 2.75 | 3.30 | 2.25 | 1.50 | 1.23 | 1.33 |
| 23:45 | 422 | დანდი-ერდრი | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |
| | | **15 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 419 | პარტიკი-ინვერნესი | 4.80 | 3.40 | 1.65 | 1.99 | 1.22 | 1.11 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ესპანეთი. თასი** | | | | | | |
| | | **14 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 423 | რეალი-სარაგოსა | 1.40 | 4.20 | 6.00 | 1.04 | 1.13 | 2.47 |
| | | **საფრანგეთი თასი** | | | | | | |
| | | **14 თებერვალი** | | | | | | |
| 23:00 | 425 | შატორუ-სოშო | 2.60 | 2.80 | 2.70 | 1.34 | 1.32 | 1.37 |
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | **14 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 446 | უნ.ესპანიოლა-გოიასი | 2.40 | 3.10 | 2.55 | 1.35 | 1.23 | 1.39 |
| 23:45 | 447 | ველესი-როხა | 1.15 | 5.50 | 11.00 | 1.00 | 1.04 | 3.66 |
| 23:45 | 448 | ნასიონალი-პაულისტა | 2.15 | 3.20 | 2.80 | 1.28 | 1.21 | 1.49 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **15 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 449 | სერო-პალმეირასი | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| 23:45 | 450 | დეპორტივო-კორინთიანსი | 2.35 | 3.10 | 2.65 | 1.33 | 1.24 | 1.42 |
| 23:45 | 451 | ინდეპენდიენტე-ბოლივარი | 1.60 | 3.30 | 4.85 | 1.07 | 1.20 | 1.96 |
| | | **16 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 452 | მარაკაიბო-ინტერნასიონალი | 2.60 | 3.20 | 2.35 | 1.43 | 1.23 | 1.35 |
| | | **ჰოკეი.კაცები. ოლიმპიადა 2006** | | | | | | |
| | | **15 თებერვალი** | | | | | | |
| 14:30 | 456 | შვედეთი-ყაზახეთი | 1.06 | 6.00 | 9.00 | 1.00 | 1.00 | 3.59 |
| 16:00 | 457 | კანადა-იტალია | 1.03 | 6.00 | 8.50 | 1.00 | 1.00 | 3.51 |
| 18:30 | 458 | ფინეთი-შვეიცარია | 1.30 | 4.50 | 4.30 | 1.00 | 1.00 | 2.19 |
| 20:00 | 459 | ჩეხეთი-გერმანია | 1.10 | 5.00 | 8.00 | 1.00 | 1.00 | 3.07 |
| 23:00 | 460 | რუსეთი-სლოვაკეთი | 1.75 | 4.40 | 2.30 | 1.25 | 1.00 | 1.51 |
| 23:00 | 461 | აშშ-ლატვია | 1.20 | 4.80 | 5.30 | 1.00 | 1.00 | 2.51 |

**ჩოგბურთი კაცები ბელგრადი**
**14 თებერვალი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 14:00 | 557 | ბერერი-ლოლირა | 1.65 | 1.90 |
| 14:00 | 558 | ბოგდანოვიჩი-კუნიცინი | 1.60 | 1.90 |
| 14:00 | 559 | ბოხოლიაცი-მინარი | 1.70 | 1.90 |
| 14:00 | 560 | ბრაჩიალი-დიუპუი | 1.60 | 1.90 |
| 14:00 | 561 | ვასკე-ტროიცკი | 1.25 | 3.10 |
| 14:00 | 562 | კარა-სელა | 1.55 | 2.10 |
| 14:00 | 563 | ნორმანი დ-სიმონჯიჩი | 1.40 | 2.30 |
| 14:00 | 564 | სლიუტერი-კუბოტი | 1.50 | 2.20 |
| 14:00 | 565 | ტურსარი-ვან გემერდენი | 1.70 | 1.90 |

**კარლინგი ქალები**
**ოლიმპიადა 2006**
**14 თებერვალი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12:00 | 466 | კანადა-აშშ | 1.40 | 2.20 |
| 12:00 | 467 | რუსეთი-იაპონია | 1.45 | 2.20 |
| 12:00 | 468 | შვეიცარია-დიდი ბრ. | 1.60 | 2.00 |
| 12:00 | 469 | შვედეთი-ნორვეგია | 1.40 | 2.50 |
| 22:00 | 470 | დანია-იტალია | 1.35 | 2.65 |
| 22:00 | 471 | კანადა-რუსეთი | 1.20 | 3.10 |
| 22:00 | 472 | აშშ-იაპონია | 1.09 | 4.50 |
| 22:00 | 473 | შვეიცარია-ნორვეგია | 2.00 | 1.60 |

**კარლინგი კაცები**
**ოლიმპიადა 2006**
**14 თებერვალი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 17:00 | 482 | გერმანია-იტალია | 1.15 | 4.30 |
| 17:00 | 483 | კანადა-შვედეთი | 1.45 | 2.30 |
| 17:00 | 484 | ნორვეგია-შვეიცარია | 1.45 | 2.30 |
| 17:00 | 485 | აშშ-ახ.ზელანდია | 1.20 | 3.80 |
| | | **15 თებერვალი** | | |
| 12:00 | 486 | კანადა-დიდი ბრიტანეთი | 1.35 | 2.70 |
| 12:00 | 487 | ნორვეგია-შვედეთი | 1.45 | 2.20 |
| 12:00 | 488 | ფინეთი-ახ.ზელანდია | 1.55 | 2.25 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10002 | ლივერპული-არსენალი | 2.25 | 2.00 | 3.70 | 1.05 | 1.39 | 1.29 |
| 10003 | ბლექბერნი-სანდერლენდი | 1.75 | 2.70 | 5.50 | 1.06 | 1.32 | 1.81 |
| 10492 | სტ.ეტიენი-ნიცა | 2.40 | 1.90 | 4.30 | 1.06 | 1.54 | 1.31 |
| 10493 | ნანტი-ტრუა | 2.25 | 1.90 | 5.40 | 1.03 | 1.58 | 1.40 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11002 | ლივერპული-არსენალი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11003 | ბლექბერნი-სანდერლენდი | 1.90 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11492 | სტ.ეტიენი-ნიცა | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.50 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11493 | ნანტი-ტრუა | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |

**რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო)**
**(2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)**

| | | | |
|---|---|---|---|
| 12002 | ლივერპული-არსენალი | 1.60 | 2.00 |
| 12003 | ბლექბერნი-სანდერლენდი | 1.70 | 1.90 |
| 12492 | სტ.ეტიენი-ნიცა | 1.40 | 2.40 |
| 12493 | ნანტი-ტრუა | 1.50 | 2.30 |

**გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს**
**(ძირითადი დრო კი/არა)**

| | | | |
|---|---|---|---|
| 13002 | ლივერპული-არსენალი | 1.70 | 1.90 |
| 13003 | ბლექბერნი-სანდერლენდი | 1.70 | 1.90 |
| 13492 | სტ.ეტიენი-ნიცა | 1.90 | 1.70 |
| 13493 | ნანტი-ტრუა | 1.90 | 1.70 |

**რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს**
**(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)**

| | | | |
|---|---|---|---|
| 14002 | ლივერპული-არსენალი | 1.65 | 2.10 |
| 14003 | ბლექბერნი-სანდერლენდი | 1.20 | 2.60 |
| 14492 | სტ.ეტიენი-ნიცა | 1.70 | 2.00 |
| 14493 | ნანტი-ტრუა | 1.55 | 2.30 |

**რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი**

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15002 | ლივერპული-არსენალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15003 | ბლექბერნი-სანდერლენდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15492 | სტ.ეტიენი-ნიცა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15493 | ნანტი-ტრუა | 3.00 | 2.80 | 2.00 |

**ფრეს ბარეში**
**(ძირ დრო)**

| | | | |
|---|---|---|---|
| 16002 | ლივერპული-არსენალი | 1.40 | 2.20 |
| 16003 | ბლექბერნი-სანდერლენდი | 1.15 | 3.90 |
| 16492 | სტ.ეტიენი-ნიცა | 1.45 | 2.30 |
| 16493 | ნანტი-ტრუა | 1.30 | 2.85 |

**გოლი: წყვილი-1 თუ კენტი-2.**
**(0:0 ითვლება წყვილად)**

| | | | |
|---|---|---|---|
| 17002 | ლივერპული-არსენალი | 1.85 | 1.95 |
| 17003 | ბლექბერნი-სანდერლენდი | 1.85 | 1.95 |
| 17492 | სტ.ეტიენი-ნიცა | 1.85 | 1.95 |
| 17493 | ნანტი-ტრუა | 1.85 | 1.95 |

**ჩემპიონთა ლიგა 21 თებერვალი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 23:45 | 9008 | ინტერი | 9.00 |
| 23:45 | 9008 | არსენალი | 14.00 |
| 23:45 | 9008 | ლიონი | 10.00 |
| 23:45 | 9008 | რეალი | 14.00 |
| 23:45 | 9008 | იუვენტუსი | 5.50 |
| 23:45 | 9008 | მილანი | 9.00 |
| 23:45 | 9008 | ბენფიკა | 50.00 |
| 23:45 | 9008 | ლივერპული | 13.00 |
| 23:45 | 9008 | რეინჯერსი | 90.00 |
| 23:45 | 9008 | ბაიერნი | 13.00 |
| 23:45 | 9008 | ვილიარეალი | 25.00 |
| 23:45 | 9008 | პსვ | 45.00 |
| 23:45 | 9008 | აიაქსი | 55.00 |
| 23:45 | 9008 | ვერდერი | 55.00 |
| 23:45 | 9008 | ჩელსი | 5.80 |
| 23:45 | 9008 | ბარსელონა | 5.20 |

**უეფას თასი. 15 თებერვალი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 23:45 | 9009 | ბოლტონი | 19.00 |
| 23:45 | 9009 | სტრასბური | 40.00 |
| 23:45 | 9009 | სევილია | 15.00 |
| 23:45 | 9009 | ჰერტა | 19.00 |
| 23:45 | 9009 | ალკმაარი | 13.00 |
| 23:45 | 9009 | ლიტექსი | 100.00 |
| 18:00 | 9009 | ბრიუგე | 55.00 |
| 23:45 | 9009 | მონაკო | 13.00 |
| 23:45 | 9009 | სლავია | 80.00 |
| 23:45 | 9009 | რაპიდი | 80.00 |
| 18:00 | 9009 | როზენბორგი | 90.00 |
| 18:00 | 9009 | თუნი | 100.00 |
| 23:45 | 9009 | ჰერენვეენი | 80.00 |
| 23:45 | 9009 | ლევსკი | 85.00 |
| 18:00 | 9009 | პეტრჟალკა | 65.00 |
| 23:45 | 9009 | ლოკომოტივი(მ) | 26.00 |
| 18:00 | 9009 | შალკე | 11.00 |
| 23:45 | 9009 | რომა | 15.00 |
| 23:45 | 9009 | შახტარი | 17.00 |
| 23:45 | 9009 | ბაზელი | 70.00 |
| 23:45 | 9009 | მიდლსბრო | 16.00 |
| 18:00 | 9009 | ლილი | 21.00 |
| 23:45 | 9009 | ზენიტი | 35.00 |
| 23:45 | 9009 | ესპანიოლი | 25.00 |
| 23:45 | 9009 | ლანსი | 30.00 |
| 23:45 | 9009 | სტიაუა | 30.00 |
| 23:45 | 9009 | ჰამბურგი | 8.50 |
| 23:45 | 9009 | მარსელი | 17.00 |
| 23:45 | 9009 | პალერმო | 20.00 |
| 23:45 | 9009 | შტუტგარტი | 20.00 |
| 18:00 | 9009 | ბეტისი | 17.00 |
| 18:00 | 9009 | უდინეზე | 16.00 |

## მსოფლიოს თასი 2006 9 ივნისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 18:00 | 9012 | იაპონია | 130.00 |
| 18:00 | 9012 | ესპანეთი | 12.00 |
| 18:00 | 9012 | ავსტრალია | 80.00 |
| 18:00 | 9012 | პოლონეთი | 75.00 |
| 18:00 | 9012 | ხორვატია | 50.00 |
| 18:00 | 9012 | უკრაინა | 45.00 |
| 18:00 | 9012 | მექსიკა | 40.00 |
| 18:00 | 9012 | შვედეთი | 28.00 |
| 18:00 | 9012 | ტუნისი | 280.00 |
| 18:00 | 9012 | პორტუგალია | 18.00 |
| 18:00 | 9012 | აშშ | 95.00 |
| 18:00 | 9012 | არგენტინა | 9.00 |
| 18:00 | 9012 | იტალია | 8.50 |
| 18:00 | 9012 | გერმანია | 7.50 |
| 18:00 | 9012 | ინგლისი | 6.50 |
| 18:00 | 9012 | ბრაზილია | 3.70 |
| 18:00 | 9012 | შვეიცარია | 100.00 |
| 18:00 | 9012 | ჩეხეთი | 25.00 |
| 18:00 | 9012 | ტოგო | 290.00 |
| 18:00 | 9012 | ჰოლანდია | 15.00 |
| 18:00 | 9012 | კოტ-დ'ივუარი | 80.00 |
| 18:00 | 9012 | ს.არაბეთი | 600.00 |
| 18:00 | 9012 | საფრანგეთი | 10.00 |
| 18:00 | 9012 | ანგოლა | 380.00 |
| 18:00 | 9012 | სერბეთი | 100.00 |
| 18:00 | 9012 | კორეა | 250.00 |
| 18:00 | 9012 | განა | 190.00 |
| 18:00 | 9012 | პარაგვაი | 130.00 |
| 18:00 | 9012 | ეკვადორი | 120.00 |
| 18:00 | 9012 | ტრინიდადი | 800.00 |
| 18:00 | 9012 | კოსტა რიკა | 500.00 |
| 18:00 | 9012 | ირანი | 450.00 |

## მსოფლიოს თასი 2006. 9 ივნისი. ჯგუფში I ადგილი

**ჯგუფი A 9101**

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | კოსტა რიკა | 15.00 |
| 18:00 | გერმანია | 1.35 |
| 18:00 | პოლონეთი | 4.50 |
| 18:00 | ეკვადორი | 9.00 |

**ჯგუფი B 9102**

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | ინგლისი | 1.45 |
| 18:00 | შვედეთი | 3.10 |
| 18:00 | პარაგვაი | 7.00 |
| 18:00 | ტრინიდადი | 35.00 |

**ჯგუფი C 9103**

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | სერბეთი | 9.00 |
| 18:00 | არგენტინა | 1.95 |
| 18:00 | ჰოლანდია | 2.40 |
| 18:00 | კოტ დ'ივუარი | 9.00 |

**ჯგუფი D 9104**

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | ანგოლა | 12.00 |
| 18:00 | ირანი | 10.00 |
| 18:00 | პორტუგალია | 1.80 |
| 18:00 | მექსიკა | 2.10 |

**ჯგუფი E 9105**

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | აშშ | 7.00 |
| 18:00 | იტალია | 1.65 |
| 18:00 | ჩეხეთი | 3.00 |
| 18:00 | განა | 10.00 |

**ჯგუფი F 9106**

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | ხორვატია | 6.20 |
| 18:00 | ავსტრალია | 12.00 |
| 18:00 | იაპონია | 12.00 |
| 18:00 | ბრაზილია | 1.20 |

**ჯგუფი G 9107**

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | საფრანგეთი | 1.30 |
| 18:00 | შვეიცარია | 4.80 |
| 18:00 | კორეა | 10.00 |
| 18:00 | ტოგო | 15.00 |

**ჯგუფი H 9108**

| | | |
|---|---|---|
| 18:00 | ესპანეთი | 1.50 |
| 18:00 | უკრაინა | 3.00 |
| 18:00 | ტუნისი | 8.50 |
| 18:00 | ს.არაბეთი | 30.00 |

# ბოისამ სტამბოლში სამიანი მიიღო



ვახტანგ ნაცვლიშვილმა კვლავ „დიჟონის“ მაისურა მოირგო

**ცხრილში** არ ჩანს, მაგრამ ლეგიონერთა რიცხვი კვლავ გაიზარდა. ვახტანგ ნაცვლიშვილი, ამ რუბრიკის ოდინდელი „ლიდერი“, ლამის ორწლიანი ტრავმის შემდეგ მოედანს და ფრანგულ „დიჟონს“ უბრუნდება. ვატო გასულ შაბათსვე აპირებდა თამაშს, მაგრამ საფრანგეთის საკალათბურთო ლიგამ ლიცენზიის გაცემა შეუგვიანა და დიჟონელებმა ქართველი ფორვარდის გარეშე მოუგეს „ლე მანს“.

ნაცვლიშვილმა უკვე გაიარა სამედიცინო შემოწმება და კონტრაქტისთვისაც ამ დღეებში უნდა მოეწერა ხელი. „დიჟონში“ მისი ხელახალი დებიუტი ალბათ 16 თებერვალს შედგება, როცა ეს გუნდი საფრანგეთის ლიგის თასის გათამაშებაში ჩაებმება.

გასულ კვირაში ევროლიგის პირველი ჯგუფური ეტაპი დასრულდა და ამ პრესტიჟულ ტურნირს ერთბაშად ორი ჩვენიანი დაემშვიდობა. მანუჩარ მარკოიშვილის „ოლიმპია“ და ვლადიმერ ბოისას „სიენა“ მომდევნო ეტაპზე ვერ გავიდნენ, განსაკუთრებით კი ამ უკანასკნელის ამბავია სევდიანი.

„სიენა“ ჯგუფიდან გასვლის შანსს ბოლო ტურამდე ინარჩუნებდა და წარმატების მისაღწევად სტამბოლში „ულქერის“ დამარცხება ესაჭიროებოდა, მაგრამ მოპოვებული უპირატესობა ბოლო წუთზე გაფლანგა.

მატჩის მხსნელი სროლის შესრულებმა ვლადიმერ ბოისას მოუხდა, მაგრამ მან ბოლო წამებზე ერთბაშად სამი სამქულიანი გააცუდა და „სიენას“ საპლეიოფო ოცნებაც ჩაიფერფლა.

ცოტა ძნელი წარმოსადგენია, როგორ მოხდა, რომ ბოლო 15 წამში საქართველოს ნაკრების ფორვარდს სამჯერ მიეცა შორი სროლის შესაძლებლობა, მაგრამ თურქი ჟურნალისტები სწორედ ასე იტყობინებიან.

ერთი სიტყვით, ბოისამ ის გადამწყვეტი სროლა ვერ ჩააგდო, რომელსაც თამაშის ოვერტაიმში გადაყვანა შეეძლო. „სიენა“ ევროსარბიელს ჩამოშორდა და ერთადერთ სარბიელად შიდა ჩემპიონატი, ეგრეთ წოდებული, სერია A დარჩა, სადაც „ულქერზე“ განაწყენებულმა კვირას ომახიანი გამარჯვება მოიპოვა.

სიენელები „აველინოს“ სტუმრობდნენ და 30 ქულით იმარჯვეს. ბოისამ 25 წუთი გაატარა მოედანზე და 3-3 მოხსნა, პასი და ქულა მოიხვეჭა.

უმოტივაციო „ოლიმპიაზეც“ ვთქვათ, მით უფრო, რომ ლიუბლიანელებმა იტალიური „ბენეტონი“ შეარცხვინეს. მანუჩარ მარკოიშვილმა თავისი ძველი გუნდის რბევაში მნიშვნელოვანი წილი დაიდო — 21 წუთში 12 ქულა მოინადირა.

მარკოიშვილი კიდევ უფრო შედეგიანი იყო ადრიატიკის ლიგაზე, სადაც „ოლიმპიამ“ ევროლიგის ჯგუფიდან გასული „ციბონა“ დაამარცხა. ლიუბლიანელებმა ხორვატებს 91:82 მოუგეს, ქართველი მსროლელის ანგარიშზე კი 14 ქულა, 3 მოხსნა და ამდენივე პასია.

ახლა იმ ერთადერთ ხუთჯვაროსნელზე ვთქვათ, რომელმაც ევროლიგის მომდევნო ეტაპს უწია. შემონდ უილიამსი და მისი „ბარსელონა“ ბოლო ტურში „მაკაბისთან“ კი დამარცხდნენ, მაგრამ კატალონიელებს მანამდეც გარანტირებული ჰქონდათ შემდეგ ეტაპზე გასვლა და თელ ავივში წაფოთხილებით ბევრიც არაფერი დაუკარგავთ.

უილიამსმა ალთქმულ მიწაზე 25 წუთი იბურთავა და 5-5 ქულა-პასი მოაგროვა. შემონდი უფრო შედეგიანი იყო ესპანეთის ჩემპიონატში, სადაც მისმა გუნდმა ვალიადოლიდის „ფორუმს“ სძლია. ქართულპასპორტიანმა შავკანიანმა 18 ქულა, 2 მოხსნა და 6 პასი მიითვალა, რითაც კატალონიელებს მეტოქის ძლევაში მნიშვნელოვნად დაეხმარა.

შედეგიანი მატჩი გამოაცხო საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების გამთამაშებელმა ტატო ვაშაკიძემ, რომელიც ლიტვის A ლიგაში, „პასვალიოში“ თამაშობს. მისი გუნდი ამ უქმეებზე ორჯერ შეხვდა „კაუნოს“ და ჩვენიანიც პირველ მატჩში გამოირჩა.

ვაშაკიძემ ორჯერვე 20 წუთი დაყო მოედანზე, მაგრამ თუ პირველში 18 ქულა მოინაგრა, მეორეში მხოლოდ ხუთს დასჯერდა.

ოკეანგაღმიდან ტრადიციულად ორი განსხვავებული ამბავია: ცუდი და კარგი. ნიკა ცქიტიშვილმა გასული კვირის სამივე მატჩი „ფინიქსის“ სათადარიგო სკამზე გაატარა, ზაზა ფაჩულიამ კი თამაშით კვლავ გული იჯერა. ზაზასთვის გასული კვირა იმით იყო გამორჩეული, რომ მისმა „ატლანტამ“ ლიგის ერთპიროვნული ლიდერი, „დეტროიტ პისტონზი“ დაამარცხა.

ფაჩულიას ნბა-ს ერთ-ერთ უძლიერესი დამცველის წინააღმდეგ მოუწია თამაში, თუმც ბენ უოლესმა ქართველის შეჩერება ვერ მოახერხა. ზაზამ 34 წუთში 16 ქულა მოაგროვა, რაც უფრო მეტია, ვიდრე ბენ და რაშიდ უოლესების ერთობლივი მონაგარი.

ფაჩულიამ კიდევ უფრო შედეგიანად იბურთავა „სიეტლი სუპერსონიქსთან“, სადაც 17 ქულაზე მეტად მისი 6 პასია გამოსარჩევი.

**ირაკლი პერტაია**

| სახელი გვარი | გუნდი | ტურნირი | მეტოქე | სად | ანგარიში | წთ | ქ | მ | პ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვლადიმერ ბოისა | სიენა | ევროლიგა<br>სერია A | ულქერი<br>აველინო | ს<br>ს | 71:74<br>108:78 | 17<br>25 | 3<br>3 | 2<br>3 | 0<br>3 |
| მანუჩარ მარკოიშვილი | ოლიმპია | ევროლიგა<br>ადრიატიკის ლიგა | ბენეტონი<br>ციბონა | შ<br>შ | 95:77<br>91:82 | 21<br>30 | 12<br>14 | 3<br>3 | 1<br>3 |
| დავით უგრეხელიძე | პივოვარნა | ადრიატიკის ლიგა | ცრვენა ზვეზდა | ს | 61:87 | არ უთამაშია | | | |
| შემონდ უილიამსი | ბარსელონა | ევროლიგა<br>ესპანეთის ჩემპ | მაკაბი<br>ფორუმი | ს<br>შ | 72:88<br>80:72 | 25<br>29 | 5<br>18 | 0<br>2 | 5<br>6 |
| ლევან შენგელია | აკადემია | ლიტვის I ლიგა | სილუტი<br>ტაურაგესი | შ<br>ს | 100:82<br>105:100 | არ უთამაშია<br>არ უთამაშია | | | |
| ლაშა გამყრელიძე | პანტერსი | ავსტრიის ჩემპ | ობერვარტი | შ | 92:87 | 13 | 4 | 1 | 3 |
| ტატო ვაშაკიძე | პასვალიო | ლიტვის I ლიგა | კაუნო<br>კაუნო | ს<br>შ | 107:89<br>80:85 | 20<br>20 | 18<br>5 | 0<br>0 | 3<br>2 |
| ზაზა ფაჩულია | ატლანტა | NBA რეგულარული ჩემპ | სიეტლი<br>დეტროიტი | ს<br>შ | 91:99<br>99:98 | 36<br>34 | 17<br>16 | 8<br>9 | 6<br>4 |
| ნიკა ცქიტიშვილი | ფინიქსი | NBA რეგულარული ჩემპ | საკრამენტო<br>მემფისი<br>მინესოტა | შ<br>შ<br>შ | 112:104<br>108:102<br>101:103 | არ უთამაშია<br>არ უთამაშია<br>არ უთამაშია | | | |

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ; ნ — ნეიტრალური

# თსუ-ნიკორა ტურაშვილს დაემშვიდობა

## გამოვა სტუდენტურ-დინამოური როქი?



**დიდი ამბებია** ჩემპიონატის ლიდერ „თსუ-ნიკორაში“. სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი უმთავარმწვრთნელოდაა — მამუკა ტურაშვილი პარასკევს „აზოტთან“ განცდილი მარცხის შემდეგ ვარჯიშებზე აღარ გამოჩენილა.

გუშინ „თსუ-ნიკორა“ ტურაშვილის აქამდელმა თანაშემწე გია ჯავახიშვილმა ავარჯიშა, თუმც ამ დროს უნივერსიტეტის დარბაზში თბილისის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი დავით უსტიაშვილიც იმყოფებოდა, რომელიც გუნდის პრეზიდენტ ამირან სანიკიძეს ეთათბირებოდა. თავისთავად ცხადია, რომ თსუ „დინამოს“ თავკაცს უმიზნებს, თუმც თავად უსტიაშვილს გუშინ რომ შევეხმიანეთ, ამ საქმისგან თავი შორს დაიჭირა.

*— დღეს „თსუ-ნიკორას“ ვარჯიშზე იყავით, მამუკა ტურაშვილის ნაცვლად თქვენ ხომ არ იბარებთ ამ გუნდს?*

*— არა, „თსუ-ნიკორას“ მწვრთნელობას ჯერ არ ვაპირებ, ვარჯიშზე კი ამ გუნდის ხელმძღვანელობასთან სალაპარაკოდ მივედი.*

*— ჯერ არ ხართ თსუ-ს მწვრთნელი, მაგრამ ხომ შეიძლება, დაინიშნოთ?*

*— ოფიციალურად ჯერ არაფერი არ გადაწყვეტილა, მეტს ვერაფერს გეტყვით.*

როგორც ხედავთ, ჩემპიონობის ერთ-ერთი უმთავრესი კანდიდატი მწვრთნელის ძიებაშია და ალბათ მალე გაირკვევა, ვინ უთავკაცებს სტუდენტებს.

ბოლოს კი სარწმუნო წყაროსგან გაგებულ ინფორმაციას გაცნობებთ, შესაძლოა, „თსუ-ნიკორასა“ და „დინამოს“ შორის ერთგვარი როქი გათამაშდეს. ანუ უნივერსიტეტიდან უკვე წასული ტურაშვილი „დინამოში“ გადავიდეს, ხოლო ამ უკანასკნელის ამჟამინდელმა მწვრთნელმა დავით უსტიაშვილმა თსუ ჩაიბაროს.

ეს როქი რეალურად განხორციელდება თუ არა, ჯერ უცნობია, თუმც რაც ნამდვილია, თავშივე გიამბეთ — „თსუ-ნიკორა“ მამუკა ტურაშვილს დაემშვიდობა და ახალ წინამძღოლს ეძებს.

სხვათა შორის, „დინამო“ და „თსუ-ნიკორა“ ჩემპიონატის მორიგ ტურში ერთმანეთს ხვალ ხვდებიან.

**ირაკლი პერტაია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

12 თებერვალი

**საკრამენტო 109:84 ატლანტა**

საკრამენტო: მარტინი (20), არტესტი (20)

ატლანტა: აივი, ჯონსონი, სმიტი (10), ძარინგტონი (9), ფაჩულია (26 წუთი, 8 ქულა, 6 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა); ჩილდრესი (13), სტუდემაიერი (12), უილიამსი (11), ბატისტა (6), დელკი (2)

**ინდიანა 88:92 სან ანტონიო**

**მაიამი 100:98 დეტროიტი**

**ბოსტონი 102:94 ორლანდო**

**ჰიუსტონი 90:83 ნიუ იორკი**

**სიეტლი 112:120 დენვერი**

ძირითადი დრო 102:102

**კლიპერსი 91:97 ჩიკაგო**

**ნიუ ჯერსი 94:79 მილუოკი**

**ტორონტო 114:81 პორტლენდი**

**ვაშინგტონი 107:97 ფილადელფია**

## ჰოკეი

## რეგულარული ჩემპიონატი

12 თებერვალი

**ლოს ანჯელესი 6:5 დალასი**

*2:1 0:4 4:0*

**ედმონტონი 4:5 სენტ ლუისი**

*2:2 0:1 2:1 0:0 0:1*

*ბულიტების სერიაში*

**კაროლინა 4:3 ბუფალო**

*1:0 1:3 1:0 0:0 1:0*

*ბულიტების სერიაში*

**დეტროიტი 6:3 კოლორადო**

*1:2 2:1 3:0*

**ანაჰაიმი 4:1 ჩიკაგო**

*1:0 0:1 3:0*

**ფინიქსი 4:5 სან ხოსე**

*0:0 1:2 3:2 0:1*

**ვანკუვერი 3:2 მინესოტა**

*1:1 1:0 0:1 1:0*

**აღმოსავლეთ კონფერენცია**

| | თ | მ | წ | სწ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაროლინა | 57 | 39 | 14 | 4 | 215:176 | 82 |
| ოტავა | 56 | 37 | 14 | 5 | 223:137 | 79 |
| რეინჯერსი | 58 | 35 | 15 | 8 | 189:142 | 78 |
| ბუფალო | 56 | 36 | 15 | 5 | 186:158 | 77 |
| ფილადელფია | 58 | 33 | 16 | 9 | 196:186 | 75 |
| ტამპა | 58 | 32 | 22 | 4 | 180:168 | 68 |
| ნიუ ჯერსი | 58 | 30 | 22 | 6 | 170:166 | 66 |
| მონრეალი | 56 | 26 | 22 | 8 | 160:180 | 60 |
| ტორონტო | 57 | 27 | 25 | 5 | 178:191 | 59 |
| ატლანტა | 58 | 26 | 26 | 6 | 194:203 | 58 |
| ბოსტონი | 58 | 24 | 24 | 10 | 168:180 | 58 |
| აილენდერსი | 56 | 25 | 27 | 4 | 165:200 | 54 |
| ფლორიდა | 57 | 22 | 27 | 8 | 154:178 | 52 |
| ვაშინგტონი | 56 | 19 | 32 | 5 | 156:217 | 43 |
| პიტსბურგი | 59 | 14 | 34 | 11 | 165:236 | 39 |

**დასავლეთ კონფერენცია**

| | თ | მ | წ | სწ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეტროიტი | 57 | 39 | 13 | 5 | 208:142 | 83 |
| დალასი | 58 | 38 | 17 | 3 | 192:156 | 79 |
| კალგარი | 57 | 33 | 17 | 7 | 153:144 | 73 |
| ნეშვილი | 58 | 34 | 18 | 6 | 184:169 | 74 |
| კოლორადო | 59 | 32 | 21 | 6 | 213:187 | 70 |
| ვანკუვერი | 58 | 32 | 21 | 5 | 195:178 | 69 |
| ლოს ანჯელესი | 60 | 32 | 23 | 5 | 203:200 | 69 |
| ედმონტონი | 58 | 30 | 20 | 8 | 192:186 | 68 |
| ანაჰაიმი | 57 | 27 | 19 | 11 | 168:159 | 65 |
| სან ხოსე | 56 | 27 | 21 | 8 | 174:171 | 62 |
| მინესოტა | 58 | 29 | 25 | 4 | 174:150 | 62 |
| ფინიქსი | 59 | 27 | 28 | 4 | 171:192 | 58 |
| კოლუმბუსი | 58 | 23 | 33 | 2 | 147:209 | 48 |
| ჩიკაგო | 57 | 18 | 31 | 8 | 145:199 | 44 |
| სენტ ლუისი | 56 | 16 | 31 | 9 | 153:210 | 41 |

*თ — თამაში, მ — მოგება, წ — წაგება, სწ — საოვერტაიმო წაგება, შ — შაიბები, ქ — ქულები*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რავა გამოვა ეს საქმე: ორი ლამაზმანის დუელი

## ინტერვიუ ფეესბეს გენერლის ტელეფონით



*19 წლის იყო, რუსეთის ნაკრებში დებიუტი რომ ჰქონდა და იქიდან მოყოლებული, სეზონი ისე არ დაუსრულებია, რაიმე ტიტული არ მოეგო. 26 წლის ეკატერინა გამოვას პირად და სანაკრებო ჯილდოებს თვლა არ აქვს, შარშანწინ კი ჯერჯერობით უმთავრესი ტიტულიც ირგუნა — 2004 წლის ევროპის საუკეთესო ფრენბურთელ ქალად აღიარეს. ეს ყველაფერი კი „ნიკოლაი მრისხანის" — ცნობილ მწვრთნელ კარპოლის ყიამყრალი დატუქსვებით და საქართველოში დაბადებულ-გარზდილი, ახლა საფრანგეთის მოქალაქე ვიქტორია რავასთან მუდმივ კონკურენციაში შეძლო. კაცების საკითხავ ჟურნალ „სტაფის" მიერ მსოფლიოს ხუთ სექსუალურ სპორტსმენ ქალთა შორის დასახელებულ კატია გამოვას მოსკოვში დავუკავშირდით და საამისოდ რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის დახმარება დაგვჭირდა. მოსკოვის „დინამოს" არაოფიციალური მმართველი ფეესბეს გენერალი ვლადიმერ ზინიჩევია. სწორედ მისი ნებართვით და უშუალო ჩარევით მოხერხდა ეს ინტერვიუც. ორი წელია, პირმშვენიერი და ჩამოქნილი გამოვა მოსკოვის „დინამოში" „ურალოჩკადან" გადავიდა და მას შემდეგ ზინიჩევი გვერდიდან არ მოშორებია. ამასთან ვლადიმერ ზინიჩევი რუსეთის ფრენბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრიცაა. აქამდე ვიცოდით, რომ კატია გამოვას ბავშვობა ცხინვალში ჰქონდა გატარებული და მასთან ინტერვიუ ამ კითხვით დავიწყეთ, თუმც...*



### ეკატერინა გამოვა

დაიბადა 1980 წლის 17 ოქტომბერს ჩელიაბინსკში
სიმაღლე: 205 სმ
წონა: 75 კგ
ფეხის ზომა: 49

**სანაკრებო ტიტულები**

1999: მსოფლიოს ჩემპიონი ახალგაზრდებში
1999: მსოფლიოს გრან პრის ჩემპიონი
1999: მსოფლიოს თასის ფინალისტი
1999: ევროპის ჩემპიონი
2000: სიდნეის ოლიმპიადის ფინალისტი
2000: გრან პრის ფინალისტი
2001: გრან პრის ბრინჯაოს მედალოსანი
2001: ევროპის ჩემპიონატის ფინალისტი
2001: მსოფლიო გრანდების თასის ფინალისტი
2002: გრან პრის ჩემპიონი
2002: მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი
2003: გრან პრის ფინალისტი
2004: ათენის ოლიმპიადის ფინალისტი
2005: ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი

**პირადი ტიტულები**

2000: საუკეთესო დამფარებელი (გრან პრი)
2001: საუკეთესო ბომბარდირი (მსოფლიო გრანდების თასი)
2001: საუკეთესო დამფარებელი (მსოფლიო გრანდების თასი)
2003: საუკეთესო ბომბარდირი (გრან-პრი)
2004: საუკეთესო დამფარებელი (ათენის ოლიმპიადა)
2004: საუკეთესო ბომბარდირი (ათენის ოლიმპიადა)
2004: ევროპის საუკეთესო ფრენბურთელი ქალი

— არა, ეს სიმართლე არ არის. ჩელიაბინსკში დავიბადე და გავიზარდე. დედაჩემია ვლადიკავკაზელი. ცხინვალში ნათესავები გვყავდა და ბავშვობაში ვარ ერთი-ორჯერ ნამყოფი. სულ ეს არის, რაც ცხინვალთან მაკავშირებს — გვითხრა გამოვამ, რომელიც ზინიჩევის მობილური ტელეფონით გვესაუბრა.

**— ისე, საქართველოსთან მაინც გაკავშირებთ ერთი რამ: ვიქტორია რავასთან თქვენს მეტოქეობას ვგულისხმობთ.**

— ვიკა რავა რომ საქართველოში ყოფილა გაზრდილი, სამიოდ წლის წინ გავიგე ოთხთა ფინალების დროს. მანამდე ფრანგი მეგონა. ჩემი და ვიკას მეტოქეობაზე კი ფილმის გადაღება შეიძლება. ძალიან ძლიერი ფრენბურთელია, ვთვლი, რომ ფრენბურთის ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშეა. „კანს" რომ რავა არ ჰყოლოდა, ზედიზედ ორჯერ ვერ მოიგებდა ოთხთა ფინალს. ვიკა ღირსეულად გახდა ამ ტურნირის უძვირფასესი მოთამაშე. არადა, მაშინ მართლაც კარგ ფორმაში ვიყავი და, რა დასამალია, ევროპის საუკეთესო ფრენბურთელობაზე მაშინაც მქონდა პრეტენზია, მაგრამ ვიკამ ფანტასტიკურად ითამაშა 2001-02 წლების სეზონები და... ისე, ჩვენ მოედანზე ვიყავით მეტოქეები, თორემ დაჯილდოებისას დაახლოვებაც მოვასწარით. ახლა, შეიძლება ითქვას, კარგი ნაცნობები ვართ.

**— შარშანწინდელი სეზონი ალბათ გამორჩეული იყო თქვენთვის, რადგან იმავ ვიქტორია რავას აჯობეთ და ევროპის საუკეთესო ფრენბურთელ ქალად დაგასახელეს.**

— ის სეზონი მართლაც საუცხოო ფორმაში მყოფმა ჩავამთავრე. ათენის ოლიმპიადაზე საუკეთესო მოთამაშედ დამასახელეს და ტურნირის ბომბარდირიც გავხდი. იმავე წელს ევროპის საუკეთესო მოთამაშედ მაღიარეს, მაგრამ იმედგაცურება უფრო მეტი იყო. დიდი სიამოვნებით გავცვლიდი პირად ტიტულებს ათენის ოლიმპიადის ოქროზე. ფინალი რომ წავაგეთ, ცხარე ცრემლებით ვტიროდი. ყოველთვის ცუდ გუნებაზე ვდგები, როცა ის ფინალი მახსენდება.

**— მიუხედავად ამისა, „ევროპის საუკეთესო ფრენბურთელი" ალბათ ყველაზე დიდი ტიტულია, რაც აქამდე მოგიპოვებიათ.**

— ჯერჯერობით ასეა. ათენის ოლიმპიადა რომ მოგვეგო, ალბათ მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშეც გავხდებოდი. ისე არ გამიგოთ, თითქოს ტიტულებს მივტირი, მართლა ყველაფერს დავთმობდი, ოღონდ ის ფინალი მოგვეგო...

**— სანაკრებო ტიტულებიდან რომელს გამოარჩევთ?**

— ორჯერ მომიგია მსოფლიო გრან პრი, ოლიმპიური ვერცხლი, ევროპის ჩემპიონობა, რომელი ერთი ჩამოვთვალო... გამორჩეული ალბათ 1999 წელს ახალგაზრდული მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება იყო, ჩემი პირველი სერიოზული გამარჯვება. პირველი სიხარული ხომ სხვანაირად გახსოვს ადამიანს...

**— უცნაურია, ასეთი ტიტულოვანი ფრენბურთელი უცხოურ კლუბებში რომ არ წახვედით სათამაშოდ.**

— რუსეთში ყველანაირი პირობები გვაქვს — ფინანსურიც და სავარჯიშოც. ჩვენი კლუბები ევროელიტაში არიან და როცა სამშობლოში ყველანაირად უზრუნველყოფილი ვარ, რატომ უნდა წავიდე საზღვარგარეთ?! ისე, არ გამოვრიცხავ, ლეგიონერი გავხდე, ოღონდ ჯერ ადრეა. მერე, ორ-სამ წელიწადში, მრავალფეროვნებისთვის შეიძლება უცხოურ კლუბშიც წავიდე.

**— ისე, თქვენი და ვიქტორია რავას წყვილი ნებისმიერ გუნდს დაამშვენებდა.**

— დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი ვიკას გვერდით. შეიძლება ასეც მოხდეს. არავინ იცის, რა იქნება ხვალ. მართალი ხართ, მართლაც ძლიერი დუეტი ვიქნებოდით.

**— და თან ძალიან ლამაზიც, სპორტულ მხარეს არ ვგულისხმობ.**

— გმადლობთ კომპლიმენტისთვის, ვიკა მართლაც ძალიან ლამაზი სპორტსმენია, ჩემი მასთან შედარება გადამეტებულია, თუმც კომპლიმენტს სიამოვნებით ვიღებ.

**— მართალია, რომ „ურალოჩკაში" კონფლიქტი გქონდათ მთავარ მწვრთნელ ნიკოლაი კარპოლთან და „დინამოში" ამიტომ გადახვედით?**

— არა, ჭორია! პირიქით, კარპოლი მამასავითაა და როცა თვითონ წამოვიდა „დინამოში", მეც წამომიყვანა.

**— კარპოლი „დინამოს" მწვრთნელია?**

— არა, ქალთა გუნდის პრეზიდენტია. მწვრთნელობას ჩამოშორდა, ჯანმრთელობა აღარ უწყობს ხელს. იცით, ალბათ, რა ემოციურიც არის, ხანდახან ბილწსიტყვაობს კიდეც, მაგრამ მოედანს მიღმა ძალიან მშვიდი და გაწონასწორებული პიროვნებაა. ისე, ყველა ვერ უძლებდა და ბევრიც გაექცა, მაგრამ მე მათ შორის ნაღდად არ ვარ. მასთან ხშირად მივდივარ რჩევისთვის. თვითონაც ვერ ისვენებს და ვარჯიშებზე თავის სტიქიაშია, გული მაინც მოედნისკენ მიუწევს.

**— უამრავი ფანი და თაყვანისმცემელი გეყოლებათ. პოპულარობა ხელს არ გიშლით პირად ცხოვრებაში?**

— რომ გითხრათ, პოპულარობა მომაბეზრებელია-მეთქი, მოგატყუებთ. მომწონს ხალხი რომ მცნობს და ავტოგრაფს ან ფოტოს გადაღებას მთხოვენ. ფანებმა ჩემი ვებგვერდიც გააკეთეს და ძალიან მსიამოვნებს, როდესაც ჩემზე თბილ სიტყვებს ვკითხულობ. პირად ცხოვრებაში კი ყველაფერი კარგად მაქვს, მაპატიეთ ბევრს ვერაფერს გეტყვით, რადგან არ მიყვარს პირად საქმეებზე საუბარი. ისე კი, დაოჯახებას ჯერ არ ვაპირებ.

**— თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?**

— ინტერნეტში ვარ შემძვრალი, მონიტორის ფორმას ვიღებ ხოლმე. კინოშიც დავდივარ და სასიამოვნო საღამოებზეც. დისკოთეკები და ხმაურიანი ადგილები არ მიყვარს. თუ აუცილებლობა არაა, მშვიდ სიტუაციაში მირჩევნია საღამოს გატარება. ძირითადად იტალიურ და ფრანგულ რესტორნებში დავდივარ, იშვიათად იაპონურს ვსტუმრობ. ეს მაშინ ხდება, როცა „სუში" მომენატრება.

**ბაჩო სვანიძე**

ჭიდაობა

# მსოფლიოს თასი ახალგაზრდებს დარჩათ

16-19 თებერვალს თეირანი თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა მსოფლიოს თასს მასპინძლობს. მსოფლიოს ექვს უძლიერეს ნაკრებს შორის, ცხადია, საქართველოც შეიყვანეს და ქვეჯგუფებიც დაანაწილეს, თუმც ქართული გუნდის ირანში გამგზავრება ბოლო პერიოდშილა გადაწყდა.

„სეზონის ერთ-ერთი უმთავრესი ტურნირი, ევროპის ჩემპიონატი, აპრილის ბოლოს გველის და მისთვის უკეთ მოსამზადებლად გადავწყვიტეთ, მსოფლიოს თასზე გამოსვლისგან თავი შეგვეკავებინა — გვითხრა გუშინ ჭიდაობის ფედერაციის მდივანმა ომზარ შოშიტაშვილმა — საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი რაფაელ მარტინეტი კი პირადად დაგვიკავშირდა და გვაცნობა, რომ ირანში ყოველ მიზეზგარეშე უნდა ჩავსულიყავით, თუნდაც სუსტი შემადგენლობით.“

საბოლოოდ ფედერაციისა და ნაკრების თავკაცები შეთანხმდნენ, რომ თეირანში ახალგაზრდებს გაუშვებენ. ამავე პერიოდში თავისუფალი სტილით მოჭიდავეებს სამსუნისა და კიევის საერთაშორისო ტურნირებიც ელით და იქაც ის სპორტსმენები იჭიდავებენ, რომელთაც საევროპო შემადგენლობაში მოხვედრის შანსი შედარებით ნაკლებად აქვთ. ძირითადი გუნდი კი ევროსამზადისს ერთ კვირაში დაიწყებს ბაკურიანული შეკრებით.

**ოთარ მაღლაკელიძე**


გურამ [illegible] ფოტო

ბილიარდი

# სეზონი თბილისით გაიხსნა

**გუშინ** ბილიარდის კლუბ „ოლიმპში“ სეზონის პირველი ტურნირი დაიწყო. პულის სახეობა რვიანში თბილისის პირველობაში 16-16 კაცი და ქალი ჩაერთო. შეჯიბრი ნახევრად ოლიმპიური სისტემით (ორ მოგებამდე) ტარდება და ჩემპიონები 16 თებერვალს გამოვლინდებიან.

ქალებში მთავარი ფავორიტი თბილისის მოქმედი ჩემპიონი და საქართველოს ჩემპიონატის სამგზის მოგები თამარ კანკიაა. კაცებს შორის შარშანდელი ჩემპიონი პაატა ხმალაძე კი ტიტულს ვერ დაიცავს, რადგან მოსკოვშია და საერთაშორისო ტურნირებისთვის ემზადება.

თებერვლის ბოლოს თბილისის პირველობა პულის მეორე სახეობაში, ცხრიანშიც გაიმართება.

ავტორბოლა

# სერის სამეფო საეჭვოა

**სერ ფრენკ** უილიამსის გუნდისთვის გასული სეზონი ბოლო 17 წელიწადში თითქმის ყველაზე უსახური იყო. გერმანელმა ნიკ ჰაიდფელდმა და ავსტრალიელმა მარკ ვებერმა ერთი რბოლის მოგებაც ვერ შეძლეს და ცხრა საჩემპიონო ტიტულიანი „უილიამსი“ ულიმღამო მეხუთე ადგილზე აღმოჩნდა, რითაც 1999 წლის „მიღწევა“ გაიმეორა.

აშკარაა, რომ ბოლო წლებში სერ ფრენკის საჯინიბოს ინჟინერ-კონსტრუქტორები სწრაფ და გამძლე ბოლიდებს ველარ ამზადებდნენ. ამან გამოიწვია კონფლიქტი მათსა და BMW-ს მეძრავეებს შორის — ორივე მხარე ერთმანეთს აბრალებდა ჩაფლავებას. ბოლოს და ბოლოს მოსახდენი მოხდა — „უილიამსი“ და ბავარიული სუპერკონცერნი შარშან დაშორდნენ ერთმანეთს. BMW-მ საკუთარი გუნდით გადაწყვიტა „სამეფო რბოლებში“ გამოსვლა.

ისედაც პრობლემამიძალებულ უილიამსს ახლა ძრავსატკივარიც გაუჩნდა, თუმც დიდხანს არ დასჭირვებია პარტნიორის ძებნა. ეს გახლავთ ზეცნობილი „ფორდ-კოსუორტი“, რომელიც წლეულს კიდევ ერთ საპირველფორმულო საჯინიბოს — „სკუდერია ტორო როსოს“ (ყოფილი „მინარდი“) ჩაუდგამს თავის 750-ცხენისძალიან „გულს“.

რაც შეეხება მძღოლებს, ვებერი გუნდში დარჩა შარშანდელი არცთუ სახარბიელო მეათე ადგილის მიუხედავად, ხოლო „სწრაფი ნიკ“ BMW-მ ხელს გააყოლა, როგორც იმედისმომცემი თანამემამულე პილოტი.

ჰაიდფელდის ადგილი ფინელ-გერმანელმა ნიკო როსბერგმა დაიკავა. ცხადია, სერ ფრენკი დიდ რისკზე წავიდა, ერთ-ერთი მანქანა 20 წლის ახალბედას რომ ანდო. გერმანიის სახელით მოჯირითე ნიკო მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონის, ფინელი კეკე როსბერგის შვილია, შარშან პატარა ფორმულის, GP2 სერიის მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა და უილიამსსაც თვალში მოუვიდა:

„ნიკომ შარშან მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვა. იგი ძალიან ნიჭიერია, სწრაფი და თანაც თითქმის არ ცდება ტრასაზე.“

ნიკო როსბერგი: „მე ბავშვობიდან მანქანების გარემოში ვიყავი, მახსოვს ფორმულა 1-ში მამაჩემის წარმატებები. იგი მაშინ „კოსუორტის“ ძრავიან უილიამსის ბოლიდებს მართავდა. ყოველივე ამაში, რა თქმა უნდა, არის რაღაც სიმბოლური და ძალიან მინდა, გავამრავლო იმ მოგებების რიცხვი, რომელთა გასწვრივაც ეწერა როსბერგის გვარი. მე მჯერა საკუთარი თავის, მჯერა გუნდის, ახალი მანქანის და იმედი მაქვს, 2006 წლის სეზონი წარმატებული იქნება.“

ჟურნალისტების გამოკითხვით, ნიკო როსბერგი შარშან გერმანიის საუკეთესო მრბოლად აღიარეს. ხოლო თუ რატომ გამოდის იგი გერმანიის სახელით, ახსნა ასეთია: ნიკო, როგორც დედამისი, გერმანიაში დაიბადა. მიუხედავად იმისა, რომ ფლობს ოთხ ენას — გერმანულს, ინგლისურს, ფრანგულსა და იტალიურს, პრაქტიკულად არაფერი გაეგება მამამისის მშობლიური ფინურისა.

კეკე როსბერგი: „შინ ჩვენ გერმანულად ვლაპარაკობთ. გარდა ამისა, ნიკომ მთელი თავისი სარბოლო პერიოდი გერმანიაში გაატარა. ასე რომ, სხვა ვარიანტზე არც გვიფიქრია.“

დავამატებთ, რომ უმცროსი როსბერგი უკვე სამი წელიწადია, „სამეფო რბოლების“ რეკორდსმენად ითვლება. იგი 17 წლის იყო, როცა „უილიამს BMW“-ს ტესტებში მონაწილეობის ნება დართეს. ასეთ ყმაწვილ ასაკში საფორმულო ბოლიდით არავის გაუქროლია.

დამდეგი სეზონის წინ პილოტები, განსაკუთრებით კი გუნდის ხელმძღვანელები, იმედიანად არიან, „უილიამს FW28“ ჩვენი ახალი სუპერიარაღია, რომლითაც რბოლების მოგებას და სამეულში დაბრუნებას ვაპირებთო.

სემ მაიკლი: „ახალი მანქანისგან ბევრს ველით მოწინავეთა რიგებში დასაბრუნებლად. ბუნებრივია, FW28 მნიშვნელოვნად განსხვავდება შარშანდელი მოდელისგან, რაც გამოწვეულია ახალი, შეცვლილი ტექრეგლამენტით. კერძოდ, სრულიად შეიცვალა დაკიდულობა და აეროდინამიკა ძრავის სიმძლავრის მკვეთრი შემცირების გამო. აგრეთვე „ბრიჯსტოუნის“ საბურავებზე გადასვლასთან დაკავშირებით.“

ახალი ბოლიდით უკვე საკმაოდ ივარჯიშეს როსბერგმა, ვებერმა და სათადარიგო მძღოლმა, ავსტრიელმა ალექს ვურცმა. თავიდან „კოსუორტის“ სიჩქარეთა კოლოფი ურევდა, ბოლო დღეებში ვითარება საგრძნობლად გამოსწორდა და მანქანებს პრობლემები აღარ შექმნიათ.

ვებერის თქმით, კოლოფი ჭკუაზე მოვიდა, ძრავაც შესანიშნავია. ისე, ცნობისთვის, ესპანურ ტრეკებზე ტესტირებისას ავსტრიელს ავსტრალიელზე უკეთესი შედეგები ჰქონდა.

**გია ახალაძე**

## უილიამსი

**FRANK WILLIAMS RACING CARS**

დაარსდა 1968 წელს

ფორმულა 1-ში გამოდის 1969 წლიდან

515 რბოლა; 113 მოგება; 125 პოული; 128 უსწრაფესი წრე; 2501,5 ქულა

ჩემპიონის ტიტული — 7

კონსტრუქტორთა თასი 9

2005 წელს დაიკავა მეხუთე ადგილი (66 ქულა)

გუნდის თანამფლობელი და აღმასრულებელი დირექტორი **სერ ფრენკ უილიამსი** (დიდი ბრიტანეთი)

თანამფლობელი **პატრიკ ჰედი** (დიდი ბრიტანეთი)

ტექნიკური დირექტორი **სემ მაიკლი** (ავსტრალია)

ბოლიდი **„უილიამს FW28“**

ძრავა **„კოსუორტ V8“** (2400 სმ³)

საბურავები: **„ბრიჯსტოუნი“**

ტესტ-მძღოლები: **ალექს ვურცი (ავსტრია, 31 წლის)** და **ნარაინ კარტიკეიანი (ინდოეთი, 29 წლის)**



**მარკ ვებერი**

**ავსტრალია**

დაიბადა 1976 წლის 27 აგვისტოს ქუინბინში

ცხოვრობს მარსლიში (ინგლისი)

სიმაღლე 184 სმ; წონა 74 კგ

დებიუტი ფ1-ში: ავსტრალია (2002)

69 რბოლა, 1 პოდიუმი, 62 ქულა

ჩემპიონატში საუკეთესო შედეგი მეათე ადგილი (2003, 2005)

გუნდები: „მინარდი“ (2002), „იაგუარი“ (2003, 04)

„უილიამსშია“ 2005 წლიდან



**ნიკო როსბერგი**

**გერმანია**

დაიბადა 1985 წლის 27 ივნისს ვისბადენში (გერმანია)

ცხოვრობს გერმანიაში

სიმაღლე 178 სმ; წონა 69 კგ

ფორმულა 1-ის დებიუტანტი

2005 წლის „გრან პრი 2“-ის მსოფლიოს ჩემპიონი

2005 წელს იყო „BMW უილიამსის“ ტესტ-მძღოლი

„უილიამსშია“ 2006 წლიდან



სერ ფრენკ უილიამსი (მარცხნივ) და მისი შესანიშნავი შვიდეული



AFP ტურინიდან

სვეტლანა იშმურატოვა

# რუსულ ყულაბაში ქალებმა ჩააწკრიალეს

13 თებერვალი
ბიატლონი
ქალები

ინდივიდუალური. 15 კმ.
1 სვეტლანა იშმურატოვა (რუსეთი) — 49.24,1 (0+0+1+0)
2 ოლგა პილიოვა (რუსეთი) — +0.45,3 (1+0+0+0)
3 მარტინა გლაგოუ (გერმანია) — +1.10,8 (0+1+0+1)

ბიატლონისტ ქალთა პირველი შეჯიბრი — 15 კმ-იანი ინდივიდუალური რბოლა რუსთა ზეიმით დასრულდა. სლავები სხვებთან შედარებით, გაცილებით უკეთესად გამოიყურებოდნენ და პოდიუმის პირველი ორი საფეხურიც სწორედ მათ დაიკავეს.

სვეტლანა იშმურატოვამ და ოლგა პილიოვამ საერთო რუსულ ყულაბას თითო ოქრო-ვერცხლი შემატეს.

რუსების ასეთი წარმატებული გამოსვლის მთავარი მიზეზი კი მათი ცივსისხლიანობა გამოდგა. იშმურატოვამაც და პილიოვამაც, სწორედ, ამის ხარჯზე ააცდინეს მიზანს მხოლოდ თითოჯერ, რაც გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდა გუშინდელი შეჯიბრებისას.

სამაგიეროდ, ძალიან ცუდად ისროლეს გერმანელებმა, არადა, სროლა ტევტონთა უმთავრესი სიძლიერეა, მაგრამ გუშინ ეს კომპონენტი მათი კრახის მთავარ მიზეზად იქცა.

ბევრს ელოდნენ კატი ვილჰელმისაგან, მაგრამ მან ბოლო ორი სროლისას ხუთჯერ ააცდინა და ამით გამარჯვების ყოველგვარი შანსი მოისპო. ისე, კატი ამ დისციპლინაში განსაკუთრებით ძლიერი არასოდეს ყოფილა — ის სპრინტში გაცილებით ყოჩაღობს. იმედები ვერც ინდივიდუალურ რბოლაში სოლტ ლეიკ სიტის გამარჯვებულმა ანდრეა ჰინკელმა გაამართლა და ამჯერად მხოლოდ მეხუთე ადგილზე გავიდა.

საუკეთესო შედეგი გერმანელთა შორის მარტინა გლაგოუმ აჩვენა, რომელმაც ტევტონები მთლად უმედლოდ არ დატოვა და თავის ქვეყანას ბრინჯაო მოუტანა.

სამაგიეროდ, გამარჯვება თავისუფლად შეეძლო რაფაელ პუარეს მეუღლეს, ნორვეგიის სახელით მოთხილამურე ლივ-გრეტ პუარეს. ნორვეგიელმა კარგადაც ისრიალა და პირველი სამი სროლისას ერთი შეცდომაც კი არ დაუშვა. ლივ-გრეტს ოქრო, ფაქტობრივად, ჯიბეში ედო, ვინაიდან იშმურატოვას შედეგი იცოდა და მის გრაფიკს მთელი 44 წამით უსწრებდა, მაგრამ... ნორვეგიელს ნერვებმა უმტყუნა — ბოლო სროლისას ორჯერ ააცდინა და პირველ ათეულში ძლივს მოხვდა.

იშმურატოვამ კი ყოველგვარი ალელვების გარეშე გაიარა მთელი დისტანცია. მან გუშინ, მართლაც, მაქსიმუმი აჩვენა, ვინაიდან სვეტლანას ასე სწრაფად არასოდეს უქროლია. პილიოვა, რომელიც იშმურატოვაზე გაცილებით სწრაფ ბიატლონისტად ითვლება, თანამემამულის მსგავსად, მხოლოდ ერთხელ შეცდა სროლისას, მაგრამ გუშინ სისწრაფეში აშკარად დათმო.

„ძალიან მიხარია. ვიცოდით, რომ შეგვეძლო კარგად გამოსვლა და დღეს, მართლაც, ასე მოხდა. გერმანელებს ძალიან ძლიერი შემადგენლობა ჰყავთ, მაგრამ ამან მოტივაცია შეგვმატა და ჩვენს გამოსვლაზე ამანაც დიდი გავლენა მოახდინა“ — განაცხადა იშმურატოვამ.

სროლისას შეცდომა გუშინ მხოლოდ პოლონელ კრისტინ პალკას არ დაუშვია, მაგრამ ამის მიუხედავად, მაინც მეექვსე ადგილზე გავიდა, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ბიატლონში სროლის სიზუსტესთან ერთად, სწრაფად სრიალსაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

**ქახა ლომჯავილი**

სნოუბორდი
ქალები
ჰაფპაიპი

1 ჰანა ტეტერი (აშშ) — 46,4 ქულა
2 გრეტჰენ ბლეირელი (აშშ) — 43,4
3 კერსტი ბუასი (ნორვეგია) — 42,0

| მედლები | ო | ვ | ბ | სულ |
|---|---|---|---|---|
| 1 აშშ | 3 | 2 | - | 5 |
| 2 რუსეთი | 2 | 2 | 1 | 5 |
| 3 გერმანია | 2 | - | 1 | 3 |
| 4 ნორვეგია | 1 | 3 | 4 | 8 |
| 5 ჰოლანდია | 1 | 2 | - | 3 |
| 6 ს. კორეა | 1 | 1 | - | 2 |
| 7 იტალია | 1 | - | 2 | 3 |
| 8 კანადა | 1 | - | 1 | 2 |
| 9 საფრანგეთი | 1 | - | 1 | 2 |
| 10 ესტონეთი | 1 | - | - | 1 |
| 11 ავსტრია | - | 2 | - | 2 |
| 12 ფინეთი | - | 1 | 1 | 2 |
| 13 ჩეხეთი | - | 1 | - | 1 |
| 14 ლატვია | - | - | 1 | 1 |
| 15 შვეიცარია | - | - | 1 | 1 |
| 16 ჩინეთი | - | - | 1 | 1 |

# ოლიმპიური სექსი
## ანი ფრიზინგერის იშვიათი რეცეპტი

**ზამთრის** ოლიმპიურ თამაშებზე გერმანელთა მთავარი იმედი, ტრადიციისამებრ, ციგურებით მორბენლები არიან. გერმანელთა ერთ-ერთი ჯილა ამ სახეობაში ანი ფრიზინგერი გახლავთ, ვინც ტურინში ერთბაშად ხუთი ოქროს მედლის მოსაპოვებლად ბრძოლას აპირებს. ფრიზინგერთან ჩამორჩენას არც მისი თანამემამულე კლაუდია პეშტაინი ფიქრობს.

ამ 33 წლის სპორტსმენის მედლების ყულაბაში ოლიმპიური ჯილდოები უფრო მეტია, ვიდრე გერმანიის სპორტის ზამთრის სხვა სახეობათა წარმომადგენლებისა.

1992 წლის ოლიმპიადაზე ალბერვილში, სადაც კლაუდიას ოლიმპიური დებიუტი შედგა, იგი შვიდჯერ ავიდა საპატიო კვარცხლბეკზე, მათ შორის სამჯერ კი უმაღლესი საფეხურიდან გადმოიხედა. რისთვისაც თანამემამულეთაგან მეტსახელად „გოლდ შტაინი“ მიიღო. პეშტაინის მრავალ მიღწევათაგან ერთ-ერთი მართლაც უბრალოდ უნიკალურია. მან ლილეჰამერის, ნაგანოსა და სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიადებზე ზედიზედ გაიმარჯვა 5 ათას მეტრზე რბოლაში.

კლაუდია ტურინშიც გეგმავს ამ დისტანციაზეც პირველობას და 3 ათას მეტრზე ჩემპიონობასაც. იგი გამარჯვებას აპირებს გუნდურ რბოლაშიც, სადაც მასთან მწყრალად მყოფ თანამემამულე ფრიზინგერთან ერთად მოუწევს ძალების გაერთიანება და გამარჯვებისთვის ბრძოლა.

ამ ორი დიდი ჩემპიონის ერთმანეთისადმი მტრობას გერმანიაში, როგორც ვიუწყებოდით, „ქუკნათა ომი“ უწოდეს. მათი ამგვარი მტრობის წყალობით კი ციგურაობა მნიშვნელოვანწილად, ზამთრის სახეობათაგან ნომერ პირველ დისციპლინად იქცა. ამ ორი ქალის ერთმანეთისადმი გადაკიდება თავად მათთვისაც სტიმულატორის როლს თამაშობს.

„არც კი ვიცი, შევძლებდი თუ ვერა 5 კილომეტრზე ჩემპიონობისთვის კიდევ ერთხელ ბრძოლას, რომ არა პეშტაინი, ვისაც შეუძლია ოქროს მოპოვება, ამაზე ფიქრი კი გულს მიხეთქავს და საბრძოლოდ განმაწყობს“ — ამბობს ანი ფრიზინგერი და საბრძოლო განწყობილების ასამაღლებლად და გულის ხეთქვისგან თავის დასაღწევად სექსი უებარი რამ ჰგონია.

როგორც ჟურნალისტებს თავად ფრიზინგერმა უთხრა, გადამწყვეტი ბრძოლისთვის მზადების ერთ-ერთ ელემენტად სწორედ სექსს მიიჩნევს და ამას საერთოდ თავის ჰობადაც აღიარებს.

ანი ფრიზინგერმა, რომელსაც 11 იანვარს 29 წელი შეუსრულდა, თავისი დაბადების დღე თავისი ჰოლანდიელი მეგობრისა და ყოფილი სპორტსმენის იდსი პოსტნის ბინაში და მასთან სექსში გაატარა.

ფრიზინგერი ირწმუნება, მასთან სიყვარულობანა ტურინში მორიგ წარმატებას მომიტანსო.

„მე ოლიმპიურ სოფელში ვცხოვრობ, ის კი სასტუმროში. თუმცა მას ხშირად ვსტუმრობ. მეტიც წუხანდელი ღამეც მასთან გავატარე და ასე მოვიქცევი სტარტის წინა ღამესაც. საჭიროა არაა იმ რიტმის დარღვევა, რომელსაც მივეჩვიე ის ჩემი ბედნიერება და საყრდენია.“



## ამბავ-ხაბარი



**ამერიკის** პირველი ლედი ლორა ბუში, რომელიც აშშ-ის ოფიციალურ დელეგაციას ტურინის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე მეთაურობდა, ვაშინგტონში დიდთოვლობის გამო ველარ დაბრუნდა. როცა ამერიკელთა დელეგაციის გაფრენა გადაიდო, მათი გუნდის ერთ-ერთმა წევრმა, ტანვარჯიშში ოლიმპიურმა ჩემპიონმა კერი სტრაგმა შეიცხადა, ნუთუ ჩვენს დედაქალაქში უფრო მეტი თოვლია, ვიდრე აქ, ტურინის ოლიმპიადაზეო.

როგორც იუწყებიან, იმ დღეს თეთრი სახლის მიდამოებში თოვლის საფარი 20 სანტიმეტრი იყო, ხოლო ქალაქის შემოგარენში, სადაც აეროპორტია, 25 სანტიმეტრი და მეტი თოვლიც იდო, რის გამოც ვაშინგტონის სამივე აეროპორტი დაიხურა.

* * *

**ამერიკელი** სკოტ ბერდი ზამთრის ოლიმპიური თამაშების მთელს ისტორიაში ყველაზე ასაკოვანი მონაწილე სპორტსმენი გახდა. იგი ტურინში ამერიკის კერლინგის ნაკრებში სათადარიგო მონაწილედაა შეყვანილი. ბერდი ორშაბათს კერლინგში შეჯიბრების დაწყების დღისთვის 54 წლისა და 280 დღისა გახდა. მან ამ მხრივ გაუსწრო ბრიტანელ სკელეტონისტ ჯეიმს კოტსს, რომელმაც 1948 წლის ზამრთის ოლიმპიურ თამაშებზე ფინიშის ხაზი მეშვიდემ გადაკვეთა, როცა 53 წლისა და 328 დღისა იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



AFP ტურინიდან

# ოლიმპიური ქაოსი

ასეთია ოლიმპიადა, არა აქვს მნიშვნელობა, ზაფხულისაა თუ ზამთრის. ხალხების და კულტურების ამ მსოფლიო გზასაყარზე ყველაფერს და ყველანაირს შეხვდები და უკვე არც არავის უკვირს შავ-შავი კაცის თხილამურებზე შედგომა. ჩვენ ის უფრო გვაოცებს, ეს ასთმიანი სპორტსმენი პიემონტური მთიანეთის თოვლიან ბილიკებზე როგორ გაჩნდა.



AFP ტურინიდან



AFP ტურინიდან




AFP ტურინიდან




AFP ტურინიდან



AFP ტურინიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი – 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge